ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „კანონიერი ქურდის“ დავალებით აეროპორტში ტაქსის მძღოლები „ობშიაკს“ აგროვებდნენ




გვ.5

ორშაბათი, 19 სექტემბერი, 2022 №184 (8962) ფასი: 80 თეთრი

# „ოპოზიციამ თუ ასე გააგრძელა, 2024-შიც და 2030-შიც ივანიშვილი დარჩება“







გვ.2



ნინო ბურჯანაძე: „ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობა ან მიდის ქვეყნიდან, ან ემზადება წასასვლელად. თუ დაიცალა ეს ქვეყანა, მერე გინდა ომი იყოს და გინდა მშვიდობა!“



გვ.3

ლია მუხაშავრია: „საქართველოს პირველი სახალხო დამცველიდან, დავით სალარიძიდან მოყოლებული, ძალიან ძლიერი სახალხო დამცველების ტრადიცია აქვს“

## „მე მხარს კიდევ ერთ ქალ სახალხო დამცველს დავუჭერდი. ქალებმა გაამართლეს“

## „კობახიძეს წარმოდგენა არა აქვს კონფლიქტებზე, აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს“



გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობა გამუდმებით ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავს“



გვ.4

ანზორ აბრალავა: „მსოფლიო მთლიანად გარდაიქმნა, საქართველოში კი ოპოზიციას იგივე დღის წესრიგი აქვს, რაც 8-9 წლის წინ ჰქონდა“

## „ოპოზიციონერების ანონსი რაღაც საპროტესტო აქციებზე სასაცილოა“



გვ.3

### ირაკლი ღარიბაშვილი ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ეფრემს შეხვდა



გვ.5

### ვახტანგ გომელაური ორბელიანების სასახლეში გუდაურთან სამაშველო ოპერაციის დროს დაღუპულთა დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო

1993230720223

5 „კანონიერი ქურდების“ მღვდლის სახლიდან 1 კილოგრამამდე ოქრო, იარაღი და დიდი ფული გაიტანეს

4 ჯანმო კორონავირუსის საწინააღმდეგო ორ პრეპარატს რეკომენდაციას აღარ უწევს

7 თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ანგარიშზე სამი ბრინჯაოს მედალია

6 უკრაინის გენპროკურატურის ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა 390 ბავშვი მოკლეს

# „ოპოზიციამ თუ ასე გააგრძელა, 2024-შიც და 2030-შიც ივანიშვილი დარჩება“

## ნინო ბურჯანაძე: „ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობა ან მიდის ქვეყნიდან, ან ემზადება წასასვლელად. თუ დაიცალა ეს ქვეყანა, მერე გინდა ომი იყოს და გინდა მშვიდობა!“



„ახალი თაობის“ კითხვებს ნინო ბურჯანაძე პასუხობს.

ნონა ცაბაძე

***– ქალბატონო ნინო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ბოლო კვლევების მიხედვით, სურათი არც ისე სახარბიელოა. ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია ცუდ დღეშია, მისი რეიტინგი განულებულია. ბევრი ხელისუფლებას აბრალებს ოპოზიციის უკუსვლას და აბა ხელისუფლება ოპოზიციის გაძლიერებას ხელს რატომ შეუწყობდა? რა ხდება დღეს ოპოზიციურ ფლანგზე?***

– ოპოზიცია რომ იყოს მხოლოდ ცუდ დღეში, ამას ნამდვილად ნაკლები დრამატულობით შევხედავდი მეც და ალბათ სხვაც, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ოპოზიცია კი არ არის მხოლოდ ცუდ დღეში, ქვეყანაა ცუდ დღეში. ეს არის, რაც ჩვენი სერიოზული ფიქრისა და წუხილის საგანი უნდა იყოს. ქვეყანა კი არის ცუდ მდგომარეობაში იმის გამო, რომ როგორც ოპოზიცია, ასევე ხელისუფლება თავიანთი ქმედებებით ხელს არ უწყობენ ქვეყნის გაძლიერებას.

ხელისუფლება უნდა ქმნიდეს ქვეყანაში ნორმალურ, ჯანსაღ ვითარებას და მის განვითარებაზე ზრუნავდეს. ოპოზიციას რაც შეეხება, მან ნამდვილად დაკარგა მხარდაჭერა. მოსახლეობამ დაინახა, რომ მან არაერთხელ დაარღვია ის პირობა, სიტყვა, რომელიც მოსახლეობას მისცა. ასევე არათანმიმდევრულია, არ არის ორიენტირებული იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს და ეს არის ის ყველაფერი, რა სურათიც ჩვენ ნათლად დავინახეთ.

***– ხელისუფლების დამხობა, ცხელი შემოდგომა, ვადამდელი არჩევნები. ზაფხულში რა დაპირებას არ გასცემდა ოპოზიცია, მაგრამ ვერ ახერხებენ მოსახლეობის მობილიზაციას. ოპოზიცია უკვე ნდობადაკარგულია?***

– ოპოზიცია ვერაფერს ვერ გააკეთებს და ვერც საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მიიღებს. ეს რომ ხდებოდეს იმის ფონზე, რომ ხელისუფლება გვყავს კარგი, ძლიერი, მაშინ კიდევ არ იქნებოდა სადარდებელი, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამ დროს ოპოზიცია ასეთ ვითარებაშია, ეს დრამატულია ქვეყნისათვის. ოპოზიცია ჯერ ამბობდა, არჩევნები გაგვიყალბეს და არ შევალთ პარლამენტშიო. ამის მიუხედავად, ადგნენ და შევიდნენ. მერე იძახეს, გამოვალთ პარლამენტიდანო. არ გამოვიდნენ. მერე ხალხი შეკრიბეს, არ დავიშლებით, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთო. ისევ დაიშალნენ. ოპოზიცია არის არათანმიმდევრული. ხალხი ხედავს, რომ ოპოზიციის აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს უნარი, გაერთიანდეს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე და ბრძოლა და კონკურენცია მიმდინარეობს ოპოზიციას შორის, ვინ დაიკავებს ოპოზიციის ადგილს. ეს, ბუნებრივია, ყველა ფაქტორზე მოქმედებს. საც დავინახავ, ვინ რას მიაღწევს. ვერცერთი პარტია, რომელიც ახლა პარლამენტშია, ნაციონალური მოძრაობის გარდა, ბარიერსაც ვერ გადალახავს!

***– ქალბატონო ნინო, ვისმენთ შეფასებებს, რომ დიდი გადალაგება მიმდინარეობს რეგიონში. ამ ფონზე სად არის და რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რა პოლიტიკას აწარმოებს?***

– დიდი გადალაგება რეგიონში კი არა, მსოფლიოში მიმდინარეობს. უდიდესი ძვრებია მსოფლიოში და ამ ვითარებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომლის მთავარი ამოცანაც არის, რომ როგორმე ძალაუფლება შეინარჩუნოს და ნებისმიერ ფასად იყოს ქვეყნის სათავეში. ის კოზირი, რომელიც ხელისუფლებას ჰქონდა, რომ აბა ომი გინდათ? რა თქმა უნდა, ომი არავის არ უნდა.

**„ჩემი ერთ-ერთი კოლეგა შემხვდა და სრული სერიოზულობით მითხრა, პარლამენტში საგამოძიებო კომისიას შევქმნით, ივანიშვილს პოლიციის ძალით მოვიყვანთ პარლამენტში და მერე დამთავრდება ხელისუფლებაო. ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელია. პიროვნულად არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ არ არის პოლიტიკოსი, აღმოჩნდა, რომ გონზე არ არის და მთელი მისი პოლიტიკური ძალაც ასე ფიქრობს“**

ოპოზიცია სამი წელია გაიძახის, ვადამდელი არჩევნები გვინდაო. გამოვიდა ნიკა მელია, მოითხოვა ვადამდელი არჩევნები და თითქმის მთელი ოპოზიცია წაესია. რაღა უნდა ელაპარაკო ამ ოპოზიციას საერთოდ?! ან როგორ შეიძლება, ამის მერე ხალხზე დაგვწყდეს გული, რატომ არის ნიჰილისტურად განწყობილი ოპოზიციის მიმართ.

***– ბოლო პერიოდში ძალიან ერჩიან ნიკა მელიას და ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის ვარდნასაც მას აბრალებენ. ერთი კაცი, მელია, ცვლის პოლიტიკურ სურათს?***

– ერჩიან ყველას, მე მგონი, თავის თავსაც ერჩიან ოპოზიციის წარმომადგენლები და არა მარტო ნიკა მელიას. პრეტენზიები ყველას მიმართ შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ეს პრეტენზია არგუმენტირებული უნდა იყოს. პირველ რიგში კი პრეტენზია უნდა გვქონდეს საკუთარი თავის მიმართ. მე არაერთხელ ვთქვი, თუ რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ ოპოზიციას წარმატებისთვის მიეღწია.

***– კერძოდ?***

– ეს არის ერთიანობის ფორმულა, ეს არის თანმიმდევრულობის ფორმულა, მაგრამ ოპოზიციას გადასძალა სურვილმა, რომ იყვნენ პარლამენტში, შექმნეს ოპოზიციონერობისა და ბრძოლის იმიტაცია და ამ იმიტაციით არიან კმაყოფილნი. მალე მოვა 2024 წელი და მაგა-

ჩვენს ქვეყანაში ომი არ არის და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას ყველანაირი პერსპექტივა უნდა დაუკარგო და არასწორი პოლიტიკა წარმართო. ყველა მიმართულებით არასწორია ხელისუფლების პოლიტიკა. ქვეყანა პრაქტიკულად იცლება.

***– ასეთი მაღალი გადინება ქვეყნიდან არასოდეს ყოფილაო.***

– დღეს ქვეყანა არის იმ მდგომარეობაში, როდესაც ზრდასრული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ან მიდის ქვეყნიდან, ან ემზადება წასასვლელად. უკაცრავად და, თუ აღარავინ დარჩა ამ ქვეყანაში, მერე გინდა ომი იყოს და გინდა მშვიდობა. ქვეყანას მშვიდობაც და განვითარებაც მაშინ სჭირდება, როდესაც მოსახლეობა ცხოვრობს ამ ქვეყანაში, როდესაც ხალხს ელემენტარული შესაძლებლობები აქვს. ყველა მიმართულებით ურთულესი ვითარებაა, მათ შორის საერთაშორისო თვალსაზრისითაც. ასე რომ, ეს ხელისუფლება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. თუმცა ვართ იმ მდგომარეობაში, როგორშიც ვართ.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ უკვე ცალსახაა, სუსტდება რუსეთი, პუტინი კარგავს გავლენებს. ეს რამდენად აისახება ჩვენზე და რამდენად შეიცვლება აქ სიტუაცია?***

– ვითარება ნამდვილად რთულია. დღეს ჩვენს ქვეყანას სჭირდება სწორი ნაბიჯების გადადგმა. რაც არ უნდა დასუსტდეს რუსეთი, იმის შესაძლებლობა ყოველთვის ექნება, რომ საქართველოს პრობლემები შეუქმნას, თუკი მას ნორმალური ხელისუფლება არ ეყოლება. ამიტომ აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ, არიქა, რუსეთი დასუსტდა და ხვალ დაიშლება, არასწორია. ყოველთვის უარესი სცენარიდან უნდა ამოხვიდე, ყოველთვის უარესისთვის უნდა იყო მზად და არა ისე, რომ აი რუსეთი დაიშლება და თავისთავად მოგვარდება ყველაფერი. თუ ქვეყანას არ ეყოლება ნამდვილად დამოუკიდებელი და კომპეტენტური ხელისუფლება, არცერთ შემთხვევაში სიტუაცია არ გამოსწორდება.

***– ქალბატონო ნინო, 2024 წლის არჩევნები ახსენეთ და რას ელით? არის შანსი, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს? გამოიკვეთება ახალი ძალები?***

– პირდაპირ გეტყვით, რომ არანაირი მოლოდინი არა მაქვს და ეს იქნება თავის მოტყუება. თუ ასე გაგრძელდა ვითარება, როგორიც არის ახლა, 2024-შიც და 2030-შიც ბიძინა ივანიშვილი დარჩება და ეს იქნება იმ ოპოზიციის ბრალი, რომელმაც ცხვირი ასწია, თან ამბობს, არჩევნები გამიყალბესო და თან თავისი მოქმედებებით ბიძინა ივანიშვილს გაუპრავა ეს არჩევნები. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი გადაცემის შემდეგ, სრულიად შემთხვევით ჩემი ერთ-ერთი კოლეგა შემხვდა და სრული სერიოზულობით მითხრა, პარლამენტში საგამოძიებო კომისიას შევქმნით, ივანიშვილს პოლიციის ძალით მოვიყვანთ პარლამენტში და მერე დამთავრდება ხელისუფლებაო. ასე რომ ლაპარაკობს, ის მარტო თავის აზრს არ გამოხატავს. ხომ ასეა? არადა, ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელია. პიროვნულად არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ არ არის პოლიტიკოსი, აღმოჩნდა, რომ გონზე არ არის და მთელი მისი პოლიტიკური ძალაც ასე ფიქრობს. ამ ვითარებაში რომელი ხელისუფლების შეცვლაზე ვლაპარაკობთ საერთოდ?!

***– გამოსავალი?***

– ოპოზიციას აქვს ერთადერთი შანსი, გამოჰგლიჯოს ივანიშვილს ვადამდელი არჩევნებით ხელისუფლება! ამბობენ, წავაგებთო და, თუ ასე მკვდარ-ცოცხლები და ასეთ ვითარებაში იქნებიან, რა თქმა უნდა, წააგებენ არჩევნებს, ხოლო თუ ოპოზიცია შეძლებს, რომ გავერთიანდეთ, ერთიანი პოზიცია ჩამოვაყალიბოთ და ივანიშვილს ხელიდან გამოვგლიჯოთ არჩევნები, ასეთ შემთხვევაში ვითარება ნამდვილად შეიცვლება. სხვაგვარად არაფერი არ შეიცვლება და ივანიშვილის ორბიტაზე იქნება ისევ მთელი ქართული პოლიტიკა, რაც ქვეყნისათვის დამანგრეველი აღმოჩნდება.

## სალომე ზურაბიშვილი უესტმინსტერის სასახლეში ელისაბედ II-ის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ლონდონში, უესტმინსტერის სასახლეში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ელისაბედ II-ის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

მანამდე საქართველოს პრეზიდენტმა ლონდონში, ლანკასტერის სასახლეში, სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა და ქართველი ხალხის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა სამეფო ოჯახსა და გაერთიანებული სამეფოს ხალხს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი დაკრძალვის სახელმწიფო ცერემონიასა და მიღებას დაესწრება, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივნის სახელით გაიმართება.

## გიორგი ვაშაძე: „ვადამდელ არჩევნებზე ნაკლები ვისაუბროთ და მეტი ვიმუშაოთ“



– დღეს ჩვენი ამოცანაა, ევროპამაც და ამერიკამაც, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა დაამთავრონ „ქართული ოცნების“ თავზე სახარების კითხვა, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ, გადაცემა „პოლიტ-ქალაქში“ განაცხადა.

მისი შეფასებით, „ქართული ოცნება“ არის პრორუსული ძალა და ის ხანგრძლივი ვადით ხელისუფლებაში ვერ იქნება.

თუმცა, მისი თქმით, დღეს საუბრის დაწყება ვადამდელი არჩევნების საკითხზე შეცდომაა.

– ჩემი პოზიცია იყო – „ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახეო“. ვადამდელი არჩევნები, ვადამდელი არჩევნების ძახილით არ მოვა. შეიძლება, მათ (ნაციონალურ მოძრაობას) კონკრეტული სტრატეგია, ხედვა და გეგმა აქვთ, მე არ ვარ ინფორმირებული მათ გეგმასთან დაკავშირებით. „სტრატეგია აღმაშენებელს“ ჩვენი პოზიცია გვაქვს პარტნიორ პოლიტიკურ ძალებთან და სხვა ადამიანებთან ერთად და ამას ყოველდღიურად მოქალაქეები თვალხილულად ნახავენ, – განაცხადა ვაშაძემ.

მისი განმარტებით, ხალხი გადაწყვეტს, რამდენად არის განწყობა ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად.

– დღეს ვადამდელი არჩევნებით საუბრის დაწყება შეცდომა მგონია იმიტომ, რომ სწორედ ამაზე გადადის ყველას ყურადღება, რაც მთავარია, იმ ფართომასშტაბიანი დეზინფორმაციული ბრძოლის იარაღებით, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აქვს, კონცენტრაცია გაჭირვებიდან, ეკონომიკიდან, 12 პუნქტიდან „ქართულ ოცნებას“ ვადამდელ არჩევნებზე გადააქვს. ამიტომ სტრატეგიულად სწორი მგონია, ამაზე ნაკლები ვისაუბროთ, მეტი ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ჩვენი მხარდაჭერა, დიდი პროევროპული ერთობა შევქმნათ და მერე უკვე ყველაფერი თავისთავად იქნება, – განაცხადა ვაშაძემ.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ უმრავლესობის დაშლა ძალიან რეალურად მიაჩნია.

– განწყობები ვიცი, ადამიანები ამ პრორუსულ ჭაობში ჩაყოლას არ აპირებენ, – განაცხადა ვაშაძემ.

როგორც მან აღნიშნა, დღეს „ქართულ ოცნებასთან“ არანაირ მოლაპარაკებასა და შეთანხმებას აზრი არა აქვს.

– უშედეგო პროცესში შესვლას აზრი არა აქვს. მარტო ჩვენ კი არა, სამოქალაქო სექტორი გამოყარა პარტყაპურტყით „ქართულმა ოცნებამ“ იმ სამუშაო ჯგუფიდან. თუ შევალ, ვერც მე და ვერცერთ სხვა პარტიას ვერ გამოგვყრის. „ქართულმა ოცნებამ“ უკვე ჩაშალა ეს პროცესი. დამერწმუნეთ, ამას ევროპა ხედავს და ამას თქვენ ევროკავშირის რეზოლუციაში ნახავთ, რომელსაც მიიღებენ. „ქართულმა ოცნებამ“ ჩაშალა რიგგარეშე სესია, საკომიტეტო მოსმენები, დააყენა წინაპირობები, გამოაგდო სამოქალაქო სექტორი, – განაცხადა ვაშაძემ.

მისი თქმით, ხელისუფლება დეპოლარიზაციისთვის ნაბიჯებს არ დგამს.

– სიყვარული ორმხრივია და არა ცალმხრივი. პირობითად, მეუბნებით, იმეგობრე ადამიანთან, რომელმაც მეგობრობის ფურცელი უკვე გადახია და, რაც ყველაზე მთავარია, მეუბნება, გემეგობრები, თუ სიტყვას არ ამოიღებ, ჩემთან რომ დაჯდები, თუ ჩემს ბოსს ყოველთვის თამადად აღიარებ. ასეთ პირობებს გიყენებს და, მგონი, 2X2=4-ია, – განაცხადა ვაშაძემ.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის შეფასებით, „რიგი ოპოზიციური პარტიები არიან არათანმიმდევრული, უსისტემო და ქაოსური“.

მისი თქმით, ეს შედეგიანი არ იქნება და ამით თავადაც ზიანდება.

– სტრატეგია რომელიც ჩვენ უნდა გვქონდეს, არის – „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. არ შეიძლება, მუდმივად აკეთებდე ფალსე სტარტებსა და ცრუ დაპირებებს, ცრუ მოლოდინებს ქმნიდე. რაც გვაკლია, არის თანმიმდევრულობა, სისტემურობა, კომპლექსურობა, – განაცხადა ვაშაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მე მხარს კიდევ ერთ ქალ სახალხო დამცველს დავუჭერდი. ქალებმა გაამართლეს“

## ლია მუხაშავრია: „საქართველოს პირველი სახალხო დამცველიდან, დავით სალარიძიდან მოყოლებული, ძალიან ძლიერი სახალხო დამცველების ტრადიცია აქვს“



ნათია ხურცილავა

**იურისტი, უფლებადამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ახალი სახალხო დამცველის არჩევასთან დაკავშირებით საუბრობს.**

***– ქალბატონო ლია, „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ მას არ ეყოლება თავისი კანდიდატი სახალხო დამცველის პოსტზე. რამდენად არის შესაძლებელი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ომბუდსმენის დანიშვნა?***

– თუ გავითვალისწინებთ, როგორია მმართველი პარტიის რეაგირება მოქმედი სახალხო დამცველის დასკვნებზე, როგორია მათი კომენტარები ნინო ლომჯარიასთან დაკავშირებით, მაშინ ძალიან მარტივად არის მისახვედრი, რომ ხელისუფლება არ არის მზად, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სახალხო დამცველის კანდიდატს დაუჭიროს მხარი. არადა, ორგანულად შეუძლებელია, სახალხო დამცველი ვინმეს გავლენის ქვეშ იყოს, ხელისუფლების დირექტივას ექვემდებარებოდეს. ეს ყოვლად წარმოუდგენელია.

სახალხო დამცველი ადამიანის იმ ფუნდამენტურ უფლებებს იცავს, რომლებსაც მხოლოდ ხელისუფლება არღვევს და რომლებსაც ვერც მე და ვერც თქვენ ვერ დაარღვევთ. ამიტომ არის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ომბუდსმენი მიუკერძოებელი და ნეიტრალური. სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სახალხო დამცველი ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას არ ჰყავს სახალხო დამცველი.

ამიტომაც არის ზოგადად სახალხო დამცველის ინსტიტუტი კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილი. ცალკე, ორგანული კანონი არსებობს სახალხო დამცველის შესახებ, რომელიც არეგულირებს მთელ პროცესს. არჩევის, მისი უფლებამოსილების, მისი მოქმედების არეალი – ყველაფერი კანონით არის გარანტირებული და გაწერილი. ამიტომ ომბუდსმენი პირში წყალჩაგუბებული ვერანაირად ვერ იქნება. მის ყველა ქმედებას ორგანული კანონი არეგულირებს. მას აქვს ის მძლავრი ბერკეტები, რომლებიც არის საჭირო თავისუფალი და მიუკერძოებელი სახალხო დამცველის მუშაობისთვის.

***– თუმცა, რამდენად აწყობს ასეთი სახალხო დამცველი ხელისუფლებას, რამდენად იქნება ახალი სახალხო დამცველი მიუკერძოებელი და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?***

– ძალიან რთული საკითხია, რადგან ასეთი მზაობა დღეს „ქართულ ოცნებას“ არ აქვს და ეს ჩანს მათი განცხადებებიდან. არადა, კიდევ უფრო წინ უნდა წასულიყო კანონმდებლობაც და ხელისუფლებაც. მეტი გარანტიები უნდა იყოს კანონში ჩადებული, მეტად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მისი დამოუკიდებლობა. ამიტომ არის გასაოცარი, რომ იმის ნაცვლად, კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ეს ინსტიტუტი, პირიქით ხდება.

წარმოუდგენელია ის კომენტარები, ის განცხადებები, რომლებიც ისმის მმართველი პარტიის ლიდერებისგან ნინო ლომჯარიას მისამართით, მისი რეკომენდაციებისა თუ დასკვნების მიმართ. ეს ინსტიტუტს კი არ აძლიერებს სახალხო დამცველს, არამედ ძალიან ცუდ რეალობაში ამყოფებს.

***– ოპოზიციამ განაცხადა, რომ თუ ძლიერი კანდიდატები იქნებიან წარმოდგენილი, მაშინ პროცესი სხვა სახეს მიიღებს. რას იტყვით კანდიდატებზე და თქვენ თუ აპირებთ კენჭისყრას?***

– არა, მე ერთხელ უკვე ვმონაწილეობდი ამ პროცესში. სიმართლე გითხრათ, ამ პარლამენტის პირობებში არც კი მიფიქრია, კიდევ მეცადა. იმედი არა მაქვს და ამიტომ ჩემი დროისა და ენერგიის ფუჭად კარგვა მენანება, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღირსეულმა ადამიანებმა არ მიიღონ მონაწილეობა. პირიქით, ძალიან ბევრი ძლიერი და ღირსეული კანდიდატი უნდა იყოს წარმოდგენილი. პროცესი ძალიან ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგრამ, იმდენად პარადოქსული ვითარებაა, რომ ერთი სერიოზული საფრთხე არსებობს.

***– რა საფრთხეზე საუბრობთ?***

– იმედგაცრუების, რომ მაინც არაფერი გამოვა. ხალხი რომ არ ჩავარდეს აპათიაში. ამის მაგალითი უკვე იყო. მოსამართლეობის კანდიდატებთან პარლამენტში გასაუბრება პირდაპირ ეთერში როდესაც გადაიცემოდა, ამას საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მოსამართლეობის ძალიან ბევრმა კანდიდატმა ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი უვადო მოსამართლედაც გამწესდა. სწორედ ამ საფრთხეზე ვსაუბრობ. ადამიანი, რომელიც დადებით შთაბეჭდილებას მოახდენს, რომელსაც აქვს ღირსეული წარსული, შეიძლება გვერდზე დარჩეს, ხოლო მეორე, რომელიც კონიუნქტურას მოერგება, აირჩეს და სახალხო დამცველიც გახდეს. ამ დროს სრულიად წარმოუდგენელია დაქვემდებარებული სახალხო დამცველი, რომელიც შეიძლება საკუთარ ჩინოვნიკად აქციო. ეს დამღუპველი იქნება.

თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ფუჭი მცდელობაა, რადგან საქართველოს ძალიან ძლიერი სახალხო დამცველების ტრადიცია აქვს, პირველი სახალხო დამცველიდან, დავით სალარიძიდან მოყოლებული. ისე, მე მხარს კიდევ ერთ ქალ სახალხო დამცველს დავუჭერდი, რადგან მათ განსაკუთრებით გაამართლეს.

# „კობახიძეს წარმოდგენა არა აქვს კონფლიქტებზე, აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობა გამუდმებით ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**



**„საქართველომ მოახდინა შიდა ემიგრაცია, შიგნით, თავის თავში გაიპარა. დღეს ჩვენ არ ვარსებობთ, არც კი ვსუნთქავთ“**

***– ბატონო პაატა, ბოლო კვლევების მიხედვით, ოპოზიციურ პარტიებს არც ისე სახარბიელო სიტუაცია აქვთ. ნაციონალური მოძრაობა 25%-იდან 8%-ზე დავიდა. ოპოზიციას პულსი აღარ ესინჯებაო. „ქართულ ოცნებას“ აბრალებენ, ბოლო მოუღო, მთლიანად ჩამოშალა ოპოზიციაო. როგორია თქვენი შეფასებები?***

– რა თქმა უნდა, „ქართულმა ოცნებამ“ მოინდომა ამის გაკეთება. ბიძინა ივანიშვილმა თუ რამე პირობა მართლა შეასრულა, ეს არის შუას გაკრეფა. ეს პირნათლად შეასრულა და შეუძლია, იამაყოს ამით. მან პრაქტიკულად გაანადგურა პოლიტიკური ქსოვილი საქართველოში, პოლიტიკური კულტურა, რომლითაც არსებობდნენ ეს პატარ-პატარა პარტიები საქართველოში, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობით ქმნიდნენ ისეთ ძალას, რომელსაც ყოველთვის ანგარიშს უწევდა მმართველი პარტია. „ოცნებამ“ კი მთლიანად მოშალა პოლიტიკური სკოლა და პოლიტიკური კლასი.

***– არა მარტო ოპოზიცია, მთლიანად პოლიტიკური პროცესი მოკლა?***

– კი, ასეა. „ქართული ოცნება“ ვერც იტყვის, ეს ჩვენი ბრალი არ არისო. სწორედ მათი გაჟღერებული ამბიცია იყო, რომ შუა გაკრეფილიყო. ეს აღიარა კიდეც „ქართული ოცნების“ იდეოლოგმა ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელმაც თქვა, დიახ, ჩვენი ამოცანა იყო, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა დარჩენილიყო ჩვენს ოპონენტადო. გამუდმებით ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავთ ნაციონალური მოძრაობა, რათა მუდმივად შეექმნათ მხოლოდ მისგან მტრის ხატი.

***– რა მოხდა ნაციონალურ მოძრაობაში, მელია აღმოჩნდა სუსტი ლიდერი თუ რატომ დაეცა ასე მათი რეიტინგი?***

– მათ არანაირი ბერკეტი აღარ შემორჩათ, რომ რაიმე ზეგავლენა მოახდინონ ამომრჩეველზე, მთლიანად გაცვდა, მოძველდა, ხოლო ეს 8%, რომელიც ახლა აჩვენა ნაციონალურმა მოძრაობამ, არჩევნების წინ გაიზრდება. ეს აგვისტოს მონაცემებია და ამ პერიოდში ყველაზე მკვდარია პოლიტიკური სეზონი. ამიტომ 25%-ც გაიზრდება „ქართული ოცნების“ და 8%-ც გაიზრდება ნაციონალური მოძრაობის, როგორც კი წინასაარჩევნო კამპანიაში შევლენ ეს პარტიები.

***– სააკაშვილის ფაქტორმა რა როლი ითამაშა? მიშას პასიურობამაც, მისმა პარტიისგან მივიწყებამ ხომ არ განაპირობა ეს ყველაფერი?***

– რასაკვირველია, მიშას ფაქტორიც არის. ამომრჩეველი დაიღალა. ზოგადად ამომრჩეველი პოლიტიკოსებს უყურებს, როგორც გლადიატორებს. ისინი სჭირდებათ, ენერგიულები, შემტევები, გმირები. სააკაშვილს კი უყურებენ და დღეს ის ავადაა, დაბეჩავებულია, ციხეშია. განელდა მის მიმართ სიმპათიები. მიშა უნდათ მებრძოლი და ენერგიული, წარმატებული მაჩო, მიშა კი დაუძლურებულია. ქარიზმატული ლიდერის როლი სააკაშვილში დაიკარგა. არც „ოცნება“ მოსწონს ბევრს, მაგრამ აი ბიძინამ მიშა დაამარცხა, ჩრდილში დგას, მაგრამ მაინც მართავს პროცესებს და ბევრს ეს მოსწონს. იმას კი არ უყურებს, რომ მაცივარი და ჯიბე ცარიელი აქვს. საზოგადოებას არ მოსწონს განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, მაგრამ მაინც „ოცნება“ ჰყავს ხელისუფლებაში. თუკი არ მოგწონს, წადი და შეცვალე, რატომ აძლევ ხმას?!

***– ახლა ახალი ხრიკი შემოაგდეს და ელექტრონულ არჩევნებზე ალაპარაკდნენ. ამას მართლა გააკეთებენ 2024-მდე თუ ესეც ყურადღების გადატანის მცდელობაა?***

– ბუნებრივია, ყურადღების გადატანაც არის. თავისთავად, ელექტრონული არჩევნები კარგი რამეა, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ვინც არ ენდობა და მეც ვარ მათ რიგებში, შესაბამისად, ელექტრონული არჩევნებითაც იქნება გაყალბების მცდელობები. რუსეთში, მაგალითად, ელექტრონული არჩევნები ტარდება და რა, არ ყალბდება?! ელექტრონული არჩევნები კარგია მათთვის, ვისაც სწრაფად და გამჭვირვალედ უნდა, რომ ჩაატაროს არჩევნები. ასევე ელექტრონული არჩევნები კარგია მათთვის, ვისაც უნდა, რომ გააყალბოს. ორივე შემთხვევაში კარგია, გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს.

***– ანუ, თუ გაყალბება უნდათ, ასეც გააყალბებენ?***

– რა თქმა უნდა, უფრო ეფექტურად გააყალბებენ. ასევე, თუ პატიოსნად ჩატარდება, რა თქმა უნდა, ელექტრონულად უფრო ეფექტური და შთამბეჭდავი იქნება არჩევნები.

***– ბატონო პაატა, ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომე-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი ღარიბაშვილი ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ეფრემს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ეფრემსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდა, რომელთა შორის ამავე მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერები არიან.

– კიდევ ერთხელ, დიდი პატივია, თქვენთან შეხვედრა. მოგესალმებით, დიდი პატივისცემით და დიდი სიყვარულით. მე ყოველთვის დიდი სიხარულით ვიხსენებ ჩვენს შეხვედრას პირველად ათონის მთაზე. როდესაც ჩვენ პირველად შევხვდით, მაშინ მე არ ვიყავი პრემიერ-მინისტრი. ჩვენ გვქონდა ძალიან ღრმა საუბარი. ყველა რჩევა, რომელიც მომცა გერონდამ და, რაც მითხრა, გამართლდა, – განაცხადა პრემიერმა.



არქიმანდრიტმა ეფრემმა მთავრობის მეთაური ათონის მთაზე მიიწვია.

– მახარებს, რომ კიდევ ერთხელ გხვდებით, მეორედ, უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში. სამშობლო გიყვართ, პატრიოტი, კარგი მეოჯახე ბრძანდებით, მრავალშვილიანი, ეკლესიის მეგობარი ბრძანდებით. უწმინდესი პატრიარქი და მიტროპოლიტი შიო ყოველთვის გამოხატავენ კმაყოფილებას თქვენი პიროვნებისადმი. ბევრი ქართველი ჩამოდის ჩვენთან.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელ დღეს საქართველოსა და ათონის მთას შორის მაკავშირებელი არის ვატოპედის მონასტერი. როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალიან მიყვარს ქართველები, ქართველებს მადლი გაქვთ, ღვთის მადლი, ნათლობის მადლი გაქვთ სახეზე. როგორც მოგახსენეთ, პირად საუბარშიც, ბატონო პრემიერო, ძალიან მოგვწონს, რომ ქვეყანასაც ძალიან გონივრულად მართავთ. უწმინდესის ლოცვები, პირველ რიგში, და მისი სიყვარულიც ძალიან გეხმარებათ, და ყველას გვინდა, რომ ასე გააგრძელოთ, რომ ქვეყანაში წონასწორობა გეკავოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს არის წმინდა გიორგის ქვეყანა, არ დაგავიწყდეთ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრია თქვენი ქვეყანა, და აკეთებთ კიდევაც, და გმადლობთ ამისთვის.

იმედია, რომ მომავალშიც ასე დაიცავთ თქვენს ტრადიციებს. გეპატიჟებით კიდევ ათონის მთაზე. კარგი იქნება, რომ ჩამოხვიდეთ უკვე როგორც პრემიერ-მინისტრი, – აღნიშნა არქიმანდრიტმა ეფრემმა.

არქიმანდრიტმა ეფრემმა პრემიერ-მინისტრს საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა. თავის მხრივ კი ირაკლი ღარიბაშვილმა არქიმანდრიტ ეფრემს წმინდა ნინოს ხატი გადასცა საჩუქრად.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი, მეუფე გერასიმე შარაშენიძე ესწრებოდა.

შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა არქიმანდრიტ ეფრემს სადილზე უმასპინძლა.

# „ოპოზიციონერების ანონსი რაღაც საპროტესტო აქციებზე სასაცილოა“

## ანზორ აბრალავა: „მსოფლიო მთლიანად გარდაიქმნა, საქართველოში კი ოპოზიციას იგივე დღის წესრიგი აქვს, რაც 8-9 წლის წინ ჰქონდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასა და საერთო გამოწვევებზე „ახალ თაობას“ ესაუბრა ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა.**

***– ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ბოლო კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მის ინტერესს საქართველოს არცერთი პოლიტიკური პოლიტიკური პარტია არ გამოხატავს. რას იტყვით? ასეთი სურათი, ალბათ, რეალურია.***

– არ ვიცი, რამდენად სანდოა გამოქვეყნებული კვლევის (საერთოდ, ყველა კვლევის) პროცენტები. ისე, ეს თემა რეალობასთან ახლოსაა. თუ გახსოვთ, დიდი ხანია ვლაპარაკობდი იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკური სივრცე პოლიტიკით არ ივსება, რომ პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობა ძალიან დაბალია. საქართველოში პოლიტიკოსობენ ძირითადად ისინი, ვისაც ანგარება ამოძრავებს. ეს ხალხი არ გამოხატავს იდეებს, არ იბრძვის ქვეყნისათვის საჭირო ამოცანების გადასაჭრელად. ამ ადამიანებს აკლიათ პროფესიონალიზმი, განათლება, პატიოსნება, პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება. პოლიტიკა მოიცვა ინტრიგებმა. ნორმალური დებატები არ იმართება. თუ სადმე პაექრობაა, ისიც მოკლებულია სერიოზულობასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას. ამ უაზრო დაპირისპირებაში ჩართული არიან არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ, საზოგადოებაც.

***– საზოგადოება რომ პარტიებს უნდობლობას უცხადებს?***

– დანარჩენი ხალხი, რომელიც უყურებს ამ უაზრო ორომტრიალს, რომელშიც მონაწილეობენ ე.წ. პოლიტიკოსები და საზოგადოების ნაწილი, ნიჰილიზმში ვარდება. ადამიანებს არ უნდათ პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების მოსმენა, ყურება და მხარდაჭერა. ძალიან მომაბეზრებელი გახდა ე.წ. რადიკალური ოპოზიციის გეგმებზე საუბარი. არადა, ახლაც იძულებული ვარ ვახსენო, რომ ნაციონალებსა და მის გარშემო შეკრებილ პარტიებსა და ჯგუფებს უნდათ სახელმწიფო გადატრიალება. ისინი ამას წლების განმავლობაში ცდილობენ. ნაცმოძრაობასთან შეკრულია არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი. იმის მაგივრად, რომ ამ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავიანთი ფუნქციები შეასრულონ, ისინი ჩართული არიან პოლიტიკურ ბრძოლაში და მონაწილეობენ ავადსახსენებელ გეგმებში, რომლებიც ვახსენე. ეს მესამე სექტორი ნაციონალური მოძრაობის რეზერვად გადაიქცა.



**„ჯობია, მხარდაჭერა დაკარგო და ქვეყანა გადაარჩინო. ხანდახან პოლიტიკური ლიდერები არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს იღებენ“**

***– მმართველი პარტიის ბოლოდროინდელ პოლიტიკაზე რას იტყვით? ხომ არ გაიხლართა „ქართული ოცნება“ საკუთარ საგარეო ორიენტირებში? საზოგადოების ნაწილი „ქართულ ოცნებას“ განუდგა ანტიდასავლური რიტორიკისა და ნაბიჯების გამო. ეს ადამიანები ნაციონალების თანამოაზრეები არ არიან. რასთან გვაქვს საქმე?***

– დავიწყებ იმით, რომ საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მოლოდინის რეჟიმში. თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინაც გავყვიროდი, რომ საქართველო ღირსია, მიიღონ ნატოსა და ევროკავშირში. ჩვენ ამისათვის ბევრი გავაკეთეთ, ბევრი გავიღეთ. ძალიან სამწუხაროა, რომ აქამდე არ მიგვიღეს. ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაც კი არ მოგვცეს იმ დროს, როცა უკრაინა და მოლდოვა გახდნენ კანდიდატები. ამ სამწუხარო რეალობაში აღმოვჩნდით. ბოლო დროს დასავლეთმა სხვა ამოცანები დაისახა.

***– რა ამოცანები?***

– რუსეთის გარშემო ცეცხლის რკალის შექმნა. ყველამ ვიცით, რომ ახლანდელი ომი უკრაინაში, სხვა პროცესები არის აშშ-რუსეთს შორის დაპირისპირების გამოვლინება. საჭიროა რუსეთის ალყაში მოქცევა ყველა მიმართულებით. საქართველომ ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. ასეთია დასავლეთის ამოცანა.

***– თქვენც მეორე ფრონტის გახსნაზე საუბრობთ? აშშ-ის ელჩმა სამიოდე დღის წინაც კატეგორიულად უარყო, რომ დასავლეთში ვინმეს უნდა საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩართვა.***

– საუბედუროდ, უნდათ საქართველოს ჩართვა. ამერიკელი კონგრესმენები ამაზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ. არაერთი საჯარო განცხადება გაკეთებულა იმაზე, რომ საქართველო უნდა ჩაებას რუსეთის წინააღმდეგ ომში. სადღეგრძელოებში გვიყვარს ტრაბახი და იმის თქმა, რომ მეომარი ხალხი ვართ. ბრძოლის წინააღმდეგი არა ვარ. მახსოვს, რომ გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები. იმაზე მტკივა გული, რომ ახლა ჩვენ ბრძოლისა და ომის საშუალებები არ გაგვაჩნია. ჩვენ რომ ჩვენი ფრონტი გავხსნათ, მეორე დღეს მთელი საქართველო გადაიქცევა „აზოვსტალად“. ჩვენ არც 45 მილიონი ვართ. ვართ პატარა ქვეყანა მცირე მოსახლეობით, თან გვიდგას სახელმწიფოებრიობის არსებობა-არარსებობის გამოწვევა. საუბედუროდ, დასავლეთს ურჩევნია, საქართველოში იყოს ხელისუფლება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ფრონტს გახსნის. ბრძოლის წინააღმდეგი კი არა ვარ, ქვეყნის გადარჩენა მინდა. ამიტომ მგონია, რომ დღეს ჩვენ ომში არ უნდა ჩავებათ. სამასი-ოთხასი წლის წინ საქართველო მტრებს გადანაწილებული ჰქონდათ. ახლა ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს. თუ დასავლეთში უნდათ ბლიცკრიგი, თვითონ დაგვეხმარონ.

***– მხედველობაში გაქვთ დასავლეთის დახმარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?***

– ცხადია. თვითონ მოაწყონ ბლიცკრიგი. ძალიან ცოტანი ვართ. გაწყვეტა გვემუქრება. მოსალოდნელია ეთნოროტაცია. ქართველების ადგილს სხვები დაიკავებენ.

***– მსოფლიოში ბევრი წარმოუდგენელი მოვლენა ხდება. გადაფასდა არსებული წესრიგი, ავტორიტეტები. ახალ რეალობაში ასეთი ბლიცკრიგიც შესაძლებელია?***

– რასაკვირველია. მთავარია, იყოს ნება. დღევანდელ მსოფლიოში გამორიცხული არაფერია. ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც სახელმწიფოს წაადგება. ამ თვალსაზრისით ხელისუფლება სწორად იქცევა.

***– მმართველი პარტია რომ მხარდამჭერებს კარგავს? არაერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება რუსეთისკენ მიმავალ გზას დაადგა. ამ ხალხს ეს თავზარს სცემს.***

– ჯობია, მხარდაჭერა დაკარგო და ქვეყანა გადაარჩინო. თავის დროზე გადადგა ისეთი დიდი მოღვაწე, როგორიც დე გოლი იყო. ხანდახან პოლიტიკური ლიდერები იღებენ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს.

***– აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე ბოლო დროს მომხდარ შეჯახებას როგორ აფასებთ? ყველა აღიარებს, რომ რუსეთი ამ ფონზე უსუსურად გამოიყურება.***

– აზერბაიჯან-სომხეთის გარდა, სხვაგანაც გაჩნდა და განახლდა ცხელი წერტილები. ყირგიზეთ-ტაჯიკეთის კონფლიქტი ამის ერთ-ერთი მაგალითია. ჩრდილოეთ კავკასიაშიც არ არის გამორიცხული სიტუაციის აფეთქება.

***– ჩეჩნეთის წარმომადგენლები მუშაობენ დამოუკიდებელი იჩქერიის იდეის რეალიზაციაზე. უკრაინის მხარეს ჩეჩნების სამი ბატალიონი იბრძვის. ამას გულისხმობთ?***

– დიახ, ამ ტენდენციებს. დაღესტანშიც არის მსგავსი პროცესები, სხვა რესპუბლიკებშიც.

***– ამ სიტუაციაში საქართველოს შიდა პროცესებიც რთულდება?***

– ამ პოლიტიკოსებს ცვლილებებს ვერ ვატყობ. სწორად აღნიშნეთ, რომ მსოფლიო მთლიანად გარდაიქმნა, ამოტრიალდა. საქართველოში ოპოზიციას იგივე დღის წესრიგი აქვს, რაც 8 და 9 წლის წინ ჰქონდა.

***– საგარეო კურსზეც ხომ ალაპარაკდნენ?***

– ამ ოპოზიციისთვის საგარეო კურსიც ისეთივე ყალბი თემაა, როგორიც არჩევნების სამართლიანად ჩატარება. ამათ არც ელექტრონული არჩევნები უნდათ და არც არაფერი. მთავარია, ყველაფერზე იყვირონ. სააკაშვილი და გვარამია არ იყვნენ, ამერიკას რომ აგინებდნენ?! სააკაშვილი ყოველთვის ატარებდა რუსეთისთვის სასარგებლო პოლიტიკას, თან რუსეთს აგინებდა, იშვიათად ამერიკასაც გადაუვლიდა ხოლმე. ნაცები ყოველთვის რუსეთის საქმეს აკეთებდნენ პოლიტიკაში, ეკონომიკაში. ახლა დაიცავენ ეს ვაიოპოზიციონერები პროდასავლურ კურსს? მეტი არაა ჩემი მტერი.

***– ოპოზიციონერები ამ შემოდგომაზე საპროტესტო აქციებს აანონსებენ, თუმცა ჯერ ხალხი ვერ შემოიკრიბეს. ისინი მუშაობენ ხალხთან. რას ელით?***

– ოპოზიციონერების ანონსები რაღაც საპროტესტო აქციების შესახებ სასაცილოა. რის მომწყობია ზურაბ ჯაფარიძე! არც ნაციონალებს გამოუვათ რამე. არაფერი გამოუვათ, მმართველმა პარტიამ მხარდამჭერების ნაწილიც რომ დაკარგოს. ამ შემოდგომაზე ველი რთველს და არა ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციებს. ჯაფარიძის განცხადებები ისეთი არასერიოზულია, რომ ამაზე კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიმაჩნია.

# „კობახიძეს წარმოდგენა არა აქვს კონფლიქტებზე, აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***ლიც აფხაზებთან და ოსებთან მიმართებით გააკეთა და რუსეთ-უკრაინის ამბებს შეადარა, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საზოგადოებაში. თქვენ რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– ძალიან ცუდი შედარება იყო, აბსოლუტურად არაკორექტული. კობახიძემ აჩვენა, რომ საერთოდ წარმოდგენა არა აქვს კონფლიქტებზე და აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს. ამით გამოავლინა თავისი უვიცობა და უმეცრება. მას საერთოდ წარმოდგენა არა აქვს, როგორი კონფლიქტებია საქართველოს ტერიტორიაზე და რა კონტექსტია რუსეთ-უკრაინას შორის. ამით გამოავლინა, რომ ასეთი ადამიანი არ შეიძლება, ქვეყანას მართავდეს. ელემენტარული რაღაცები არ იცის იმ ქვეყნის უახლესი ისტორიიდან, რომელსაც მართავს დღეს. ჩვენ ჩვენი კითხვები გვაქვს ჩვენს კონფლიქტთან დაკავშირებით, მაგრამ ვერანაირად ვერ მოიტან რუსეთ-უკრაინის ომთან, სულ სხვადასხვა მოვლენებია. ძალიან ალოგიკური მაგალითი იყო.

***– ბატონო პაატა, ვისმენთ შეფასებებს, რომ პუტინი სუსტდება და კარგავს გავლენებს რეგიონში. მისი დასუსტებით რამდენად დასუსტდება „ოცნების“ ხელისუფლებაც და პროცესების როგორ განვითარებას ელით? კვლავაც ცდილობს ხელისუფლება, რომ რუსეთთან არგაღიზიანების პოლიტიკა შეინარჩუნოს?***

– ეს არგაღიზიანების პოლიტიკა არ არის. არგაღიზიანების პოლიტიკას ეწევა, მაგალითად, თურქეთი. ნუ გააღიზიანებ, მაგრამ აკეთე შენი საქმე. არგაღიზიანების კი არა, ეს არის არაფრის პოლიტიკა! ესენი საერთოდ არანაირ პოლიტიკას არ აწარმოებენ. ეს არის პოლიტიკის არარსებობა. ხელისუფლებას უნდა, რომ საქართველოს საერთოდ არანაირი რეაქცია არ ჰქონდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. დღეს სამხრეთ კავკასიაში რუსეთი აღარ არის დომინანტი, თურქეთი და აზერბაიჯანი იქცევიან ისე, როგორც მათ უნდათ მოქცევა. მომავალშიც იმდენად თამამი იქნება მათი ნაბიჯები, რამდენადაც დასჭირდებათ. ახლა, ამაზე მეტი არ სჭირდებათ. ისინი ანგარიშს არ უწევენ რუსეთს. რუსეთი ფაქტორი არ არის. აზერბაიჯანი, საბოლოო ჯამში, მიაღწევს თავისას.

***– ყველგან ცვლილებებია, პროცესების გადალაგება მიმდინარეობს და ჩვენი ხელისუფლება სად არის ამ დროს, რას აკეთებს?***

– ჩვენ არსად არა ვართ, უგზო-უკვლოდ დავიკარგეთ, ოღონდ – ჩვენი ნებით. საქართველომ მოახდინა შიდა ემიგრაცია, შიგნით, თავის თავში გაიპარა. დღეს ჩვენ არ ვარსებობთ, არც კი ვსუნთქავთ.

# ჯანმო კორონავირუსის საწინააღმდეგო ორ პრეპარატს რეკომენდაციას აღარ უწევს

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაახლა რეკომენდაციები კოვიდ-19-ის სამკურნალოდ და რეკომენდაციას აღარ უწევს ორი პრეპარატის გამოყენებას.

„როიტერსის“ ინფორმაციით, საუბარია პრეპარატებზე – Sotrovimab და Kazirivimab/imdevimab. ეს ორი პრეპარატი იყო ერთ-ერთი პირველი, რომლებიც გამოიყენებოდა კოვიდ-19-ის სამკურნალოდ, მაგრამ უკვე მოძველებულია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები შეიცვალა მას შემდეგ, რაც ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა მედიკამენტების შეზღუდული კლინიკური ეფექტურობა კორონავირუსის უახლესი შტამების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჯანმო-ს დასკვნა უკვე მხარდაჭერილია აშშ-ში, სადაც ასევე არ არის რეკომენდებული სოტროვიმაბისა და კაზირივიმაბის/იმდევიმაბის გამოყენება.

თუმცა, ორივე პრეპარატი კვლავ რეკომენდებულია ევროკავშირის ქვეყნებში გამოსაყენებლად.

ჯანმო-მ ასევე გააფართოვა რეკომენდაციები სხვა თერაპიისთვის ანტივირუსული პრეპარატი Remdesivir-ით, რომელსაც კომპანია Gilead აწარმოებს.

კერძოდ, ის ახლა გამოიყენება მძიმე კოვიდ-19-ის მქონე, ასევე – ჰოსპიტალიზაციის მაღალი რისკის მქონე პაციენტებში.

# ოკუპირებული სოხუმი თბილისს ბრალს სდებს

სოხუმში დაწყებული საპროტესტო აქციების უკან საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები დგანან – ეს განცხადება აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ინალ არძინბამ, რუსულ მედიასთან გააკეთა.

არძინბა მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება აფინანსებს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სოხუმის ქუჩებში გამოვიდნენ და რუსებისთვის ბიჭვინთის აგარაკების გადაცემას აპროტესტებენ.

პუტინს უნდა, ბიჭვინთაც მიითვისოს – რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გადაეცეთ კრემლის მაღალჩინოსნებს ბიჭვინთა 49 წლით, ადგილობრივი ახალგაზრდობის მწვავე პროტესტი მოჰყვა.

სოხუმის ქუჩაში ადამიანები ბიჭვინთის დასაცავად გამოვიდნენ.

# უკრაინელი ტელეწამყვანი აცხადებს, რომ საქართველოში არ შემოუშვეს



უკრაინელი ტელეწამყვანი რომა დრიბნოი აცხადებს, რომ საქართველოში არ შემოუშვეს.

მისი განცხადებით, 17 სექტემბერს ვარშავიდან თბილისში უნდა ჩამოფრენილიყო იმისთვის, რომ უკრაინის მხარდასაჭერ საქველმოქმედო ღონისძიებებში მიეღო მონაწილეობა, თუმცა თბილისის აეროპორტში, საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, მას პოლიციელმა განუცხადა, რომ თბილისში, საქართველოში ვერ შეუშვებდნენ.

კითხვაზე, თუ რატომ და რა მიზეზით არ უშვებდნენ, უპასუხეს, რომ აქვთ უფლება, არ განუმარტონ, რატომ არ უშვებენ და მიზეზს წაიკითხავდა ფურცელში, რომელსაც პასპორტთან ერთად გადასცემდნენ.

– მითხრეს, რომ დღესვე, იმავე რეისით ვარშავაში უნდა დავბრუნებულიყავი. ორმა პოლიციელმა გამაცილა თვითმფრინავამდე, ჩემი პასპორტი და აღნიშნული ფურცელი კი ბორტგამცილებელს გადასცეს, – აცხადებს ჟურნალისტი.

მისი თქმით, ვარშავაში ჩაფრენის შემდეგ ბორტგამცილებელმა პასპორტი და ფურცელი გადასცა, თუმცა მასში საქართველოში შეშვებაზე უარის თქმის მიზეზი განმარტებული არ იყო.

ამასთან, რომა დრიბნოის მტკიცებით, მას თბილისის აეროპორტში განუცხადეს, რომ ჩემოდანი უკვე თვითმფრინავში იყო, ვარშავაში ჩასვლის შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ ჩემოდანი თვითმფრინავში არ იყო.

– სავარაუდოდ, ჩემოდანი საქართველოშია. აი, ახლა ვზივარ აეროპორტში და ვცდილობ გავარკვიო, რა არის მიზეზი, – აცხადებს ტელეწამყვანი.

# კიკეთში 54 წლის მამაკაცმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით 6 პირი დაჭრა. ერთი გარდაიცვალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კიკეთში მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მოხდა.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, 54 წლის მამაკაცმა ყოფით ნიადაგზე მომხდარი შელაპარაკებისას ავტომატიდან გასროლით 6 პირი დაჭრა, რომელთაგანაც ერთი კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული გ.ნ. ორზე მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ყოფით ნიადაგზე მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 6 პირი დაჭრა. 1971 წელს დაბადებული გ.გ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დანარჩენი 5 პირი კი კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.



ბრალდებული გ.ნ. დანაშაულის ჩადენის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ იგი მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ცხელ კვალზე დააკავა. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ვახტანგ გომელაური ორბელიანების სასახლეში გუდაურთან სამაშველო ოპერაციის დროს დაღუპულთა დაჯილდოების ცერემონიას დაესწრო



საქართველოს პრეზიდენტმა გუდაურის ტრაგედიის დროს დაღუპული მფრინავები, მაშველები და ექიმები მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დააჯილდოვა.

ორბელიანების სასახლეში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალს შინაგან საქმეთა მინისტრი – ვახტანგ გომელაური, ჯანდაცვის მინისტრი – ზურაბ აზარაშვილი, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახის წევრები დაესწრნენ.

– პირველ რიგში, მინდა მივესალმო დაღუპული გმირების ოჯახებს, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ეს არის არა მხოლოდ თქვენი, არამედ ეს არის ქვეყნის მწუხარება.

მინდა მივესალმო შს მინისტრს, ჯანდაცვის მინისტრსა და პატივცემულ საზოგადოებას.

ჩვენ აქ ვართ შეკრებილნი იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ გმირებს. თავდადება ამას ჰქვია, როცა ბოლომდე გაწირავ თავს იმისთვის, რომ გადაარჩინო სხვა. ეს, ალბათ, არის უმაღლესი ღირსება ადამიანის, როცა შეგიძლია სხვისი სიცოცხლისთვის თავი გაწირო. ჩვენ ეს არასოდეს უნდა დავივიწყოთ, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ცერემონიალზე შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარი ტრაგედიის გამო კიდევ ერთხელ გამოთქვა მწუხარება და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს თანადგომა აღუთქვა.

ვახტანგ გომელაურმა საქართველოს პრეზიდენტს – სალომე ზურაბიშვილს მადლობა გადაუხადა გარდაცვლილი თანამშრომლების დაჯილდოებისთვის. მინისტრმა ასევე მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს – ირაკლი ღარიბაშვილს, უწმინდესსა და უნეტარესს – ილია II-ს, პატრიარქის თანამოსაყდრეს – მეუფე შიოსა და სრულიად საპატრიარქოს თანადგომისთვის.



– ამ ოპერაციის დროს 8 ადამიანი დაიღუპა – 4 მფრინავი, 2 მაშველი და 2 ექიმი, რომლებიც ცდილობდნენ სხვისი სიცოცხლის გადარჩენას. ერთ-ერთი მორიგი ღონისძიება იყო, სამაშველო ოპერაცია, თუმცა, სამწუხაროდ, დიდი უბედურებით დამთავრდა. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი გმირები, პროფესიონალები.

მინდა კიდევ გავიმეორო, ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, თუ რამით შეიძლება, ცოტათი მაინც რომ შეგიმსუბუქოთ ეს დიდი ტკივილი. დღევანდელი ღონისძიებაც ზუსტად ამის გამოძახილია და მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ, ქალბატონო პრეზიდენტო. ეს არის დიდი დაფასება ყველასთვის, მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და მინდა მადლობა მოგახსენოთ ყველას სახელით. ასევე, მსურს მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერ-მინისტრს გვერდში დგომისთვის, დაფასებისთვის. აგრეთვე, მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს გვერდში დგომისთვის, იმ ტკივილის გაზიარებისთვის, მეუფეებს, მეუფე შიოს და სრულიად საპატრიარქოს, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, 29 ივლისს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი დაჯილდოვდა სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახებმა, მატერიალური დახმარების სახით, 100 ათასი ლარი მიიღეს.

# სასამართლომ „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროსთვის“ მიმართვაში ბრალდებული 4 პირი დამნაშავედ ცნო



თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროსთვის“ მიმართვაში ბრალდებული ოთხი პირი დამნაშავედ ცნო.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წელს, „ქურდული სამყაროს“ სამმა წევრმა საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდთან“ შეთანხმებით, ერთ-ერთ პირსა და მოდავე მხარეს შორის არსებული ფინანსური დავის გადასაწყვეტად, არაერთხელ მოაწყვეს „ქურდული გარჩევა“.

– 3 პირს ბრალდება საქართველოს სსკ-ის 223’-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრობა), 1 პირს კი –სსკ-ის 223’’-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროსთვის“ მიმართვა) წარედგინათ.

სასამართლომ „ქურდული სამყაროს“ 2 წევრს სასჯელის სახით 8-8 წლით, ხოლო 1 წევრს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. რაც შეეხება „ქურდული სამყაროსათვის“ მიმართვაში ბრალდებულს, მას სასჯელის სახით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „კანონიერი ქურდის“ დავალებით აეროპორტში ტაქსის მძღოლები „ობშიაკს“ აგროვებდნენ

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებული 6 პირი დამნაშავედ ცნეს.

უწყების ცნობით, გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წლის მაისიდან დეკემბრამდე პერიოდში, „ქურდული სამყაროს“ 3 წევრი, საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერ ქურდის“ დავალებითა და საკუთარი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, ორგანიზებას უწევდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომუშავე კერძო ტაქსის მძღოლებისგან „ქურდული საერთოს“ შეგროვებას.

– ამავდროულად, „ქურდული სამყაროს“ ერთ-ერთ წევრი ახორციელებდა ზემოთხსენებული საქმიანობის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, ასევე საცხოვრებელ სახლში უკანონოდ ინახავდა საბრძოლო მასალას.

აღნიშნული ქმედებისთვის „ქურდული სამყაროს“ სამი წევრიდან ორ მათგანს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223□-ე მუხლის პირველი ნაწილით „ქურდული სამყაროს“ წევრობა), ერთს კი 223□-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრობა), 236-ე მუხლის მესამე ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა) და 194-ე მუხლის მეორე ნაწილით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) წარედგინათ.

ასევე, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის სამ პირს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის მეორე ნაწილით? წარედგინა?.

სასამართლომ ერთი პირი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე და 236-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. „ქურდული სამყაროს“ წევრობაში ბრალდებული ორი პირიდან ერთს სასჯელის სახით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ხოლო მეორე მათგანის ქმედება დაკვალიფიცირდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერად და სასჯელის სახედ და ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებული სამი პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ, – წერია უწყების განცხადებაში.

# კახეთის გზატკეცილზე ავტობუსს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა




კახეთის გზატკეცილზე 37 ნომერ ავტობუსს მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ავტომობილს 60 წლამდე კაცი მართავდა და ის ავტომობილში მარტო იჯდა. მათივე ცნობით, ავტობუსს, რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა, მანქანა უკანა მხრიდან შეეჯახა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლი მსუბუქად დაშავდა.

# „კანონიერი ქურდების“ მღვდლის სახლიდან 1 კილოგრამამდე ოქრო, იარაღი და დიდი ფული გაიტანეს



ვერელი თემო და ახლა უკვე მამა თეიმურაზი კრიმინალების სამიზნე გახდა – ე.წ. კანონიერი ქურდების მღვდლის სახლიდან ერთი კილოგრამამდე ოქრო, ნიკოლოზის „თუმნიანი“ მონეტები, ოქროს საათები, ბეჭდები და დიდი ფული გაიტანეს.

ყოფილი „ძველი ბიჭი“ და ახლა უკვე მდიდარი სასულიერო პირი მთაწმინდაზე, თბილისის ტურისტულ ეპიცენტრში, ყიფიანის ქუჩაზე, ფეშენებელურ საცხოვრებელ კომპლექსში ცხოვრობს. მძარცველები მღვდლის სახლში მაშინ შევიდნენ, როდესაც სასულიერო პირი ბობოყვათის საპატრიარქოს რეზიდენციაში ისვენებდა.

ოქროს ნივთების გარდა, სასულიერო პირის სახლიდან წაღებულია დიდი ფულიც – სამების საკათედრო ტაძრის მღვდელი საძინებელ ოთახში, კარადაში 36 ათას დოლარს ინახავდა. დეკანოზი ამტკიცებს, რომ ათასობით დოლარს თვეების განმავლობაში ავტომობილის შესაძენად აგროვებდა.

ერთადერთი, რაც მძარცველებმა დატოვეს, სასულიერო პირის ცეცხლსასროლი იარაღების კოლექციაა. ირკვევა, რომ, ოქროს მონეტების გარდა, სამების საკათედრო ტაძრის მოძღვარი ცეცხლსასროლი იარაღების კოლექციონერიც არის.

ყაჩაღებისა და კრიმინალებისგან თავდაცვას მღვდელი საკუთარი ძალებითა და იარაღით აპირებს. ძარცვის ფაქტზე პოლიციელებისთვის ჩვენება არ მიუცია, რადგან ეს მის მენტალობაში არ ჯდება. ამბობს, რომ ზუსტად იცის ადამიანები, ვინც მისი სახლი გაიტანა, თუმცა მათ ვინაობას პოლიციას არ უმხელს.

მღვდლის სახლის ქურდობაში რომ სამი პირი მონაწილეობდა, ეს „შაბათის ეთერის“ მიერ მოპოვებული საქმის მასალებითაც დასტურდება. პოლიციის ფაილებით დგინდება, რომ მღვდლის სახლიდან 300 ათასი ლარის ნივთების მოპარვის შემდეგ მძარცველებმა მთაწმინდა ტაქსით დატოვეს.

სამი თავდამსხმელიდან პოლიციამ მხოლოდ ერთი, 32 წლის გიორგი გოგბერაშვილი დააკავა. გამოძიება ამტკიცებს, რომ მის ნაქირავებ სახლში ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მღვდლის კუთვნილი ერთ-ერთი ოქროს ნივთი აღმოაჩინეს. დაკავებულის ოჯახი ამბობს, რომ ნივთი სახლში პოლიციამ ჩადო.

32 წლის მამაკაცს საქალაქო სასამართლომ 7 წლით პატიმრობა შეუფარდა.

უმდიდრესი მღვდლის სახლის ძარცვის სკანდალური ვერსია აქვს დაკავებულის ადვოკატს. ის ამტკიცებს, რომ კრიმინალური წარსული მქონე სასულიერო პირმა მისი რეზიდენციის ძარცვის იმიტაცია მოახდინა, მრევლს უთხრა, რომ ტაძრისთვის შეგროვებული ფული მოჰპარეს, რეალურად კი ამ ფულით ძვირადღირებული მანქანა იყიდა.

# ბესარიონ ალავიძე: „იყო ქუჩური წესებით საქმის გარჩევა, დაბარება კაბინეტებში, პირდაპირი მოწოდება, რომ დადგეს ესა თუ ის შედეგი“



„რუსთავი 2“-ის საქმის მოსამართლე ბესარიონ ალავიძე ტელეეთერში პირველად ყვება, რომ მას ხშირად გადაწყვეტილების მიღება ზეწოლის შედეგად უწევდა.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, რომელსაც არაერთი სკანდალური და მათ შორის „რუსთავი 2“-ის საქმე აქვს განხილული, ჩვენს ჟურნალისტთან საუბარში განმარტავს, რომ მისგან კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ფაქტობრივად ქუჩური გარჩევითა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით მოითხოვდნენ და თან ამ მოთხოვნას სახელმწიფო ინტერესებით ხსნიდნენ.

საბოლოოდ ასეთ სასამართლოში ყოფნაზე მან უარი თქვა, არ მიიღო შეთავაზება უვადოდ განმწესებაზე და სისტემიდან წამოვიდა.

– მათი მხრიდან არაერთხელ ყოფილა კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით შემოთავაზება, რომ მიმეღო გარკვეული სახის გადაწყვეტილებები წინასწარ და იყო თხოვნა, რომ ეს იყო შეთანხმებული ხელისუფლებასთან, სახელმწიფო ინტერესების დაცვას ემსახურებოდა ამგვარი შედეგის დადგომა, რასთან დაკავშირებითაც წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მე მათთან მომივიდა კონფლიქტი... მე მინდა, პირდაპირ ვთქვა, რომ მათი მხრიდან ამგვარ ჩარევებს აქვს არა ისეთი ხასიათი, „აკადემიური“, რომ თქვენ ასე ხომ არ ფიქრობთ ან იქნებ კანონში ასე წერია და შეცდომას უშვებთ და რამე ხომ არ გჭირდებათ, დახმარება ან რაღაც ასეთი მსგავსი აკადემიური გამოსვლები კი არ ყოფილა მათი მხრიდან, არამედ ქუჩური წესებით საქმის გარჩევა, დაბარება კაბინეტებში და პირდაპირ მოწოდება, რომ უნდა დადგეს ამა თუ იმ საქმეზე ესა თუ ის შედეგი, – ამბობს ალავიძე.

# უკრაინის გენპროკურატურის ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა 390 ბავშვი მოკლეს



რუსმა სამხედროებმა უკრაინაში შეჭრის დაწყების დღიდან 390 ბავშვი მოკლეს. ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

– 18 სექტემბრის დილისთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შეიარაღებული აგრესიის შედეგად უკრაინაში 1147-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა და დაშავდა. კერძოდ, პროკურატურის ოფიციალური ინფორმაციით, დაიღუპა 390 ბავშვი და დაშავდა 757-ზე მეტი, – აცხადებენ უწყებაში.

მათივე ცნობით, ეს მაჩვენებლები არ არის საბოლოო, რადგან გრძელდება მუშაობა დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე აქტიური საომარი მოქმედებების ადგილებზე.

ამასთან, ყველაზე მეტი, 395 ბავშვი დონეცკის ოლქში დაიღუპა და დაშავდა, 219 – ხარკოვში, 116 – კიევში, 72 – მიკოლაივში, 68 – ჩერნიგოვში, 61 – ლუგანსკში, 55 – ხერსონში, 46 – ზაპოროჟიეში, 26 – დნეპროპეტროვსკში.

# რუსებმა ხარკოვში ფსიქიატრიული საავადმყოფო დაბომბეს



ხარკოვის ოლქის სოფელ სტრელეჩაში ფსიქიატრიული საავადმყოფოს ოთხი თანამშრომელი დაიღუპა, როცა ისინი საავადმყოფოს დაბომბვის დროს პაციენტების ევაკუაციას ცდილობდნენ. ინფორმაციას უკრაინული მედია ხარკოვის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ოლეგ სინეგუბოვზე დაყრდნობით ავრცელებს.

– მედიკოსები, დაბომბვის დროსაც კი, სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობდნენ ავადმყოფების გადარჩენას. ევაკუაციის დროს რუსებმა მასობრივი დაბომბვა დაიწყეს, – წერს სინეგუბოვი.

მისი თქმით, ამ დროისთვის ცნობილია, რომ დაიღუპა 4 მედიკოსი, 2 პაციენტი კი დაშავდა.

# უკრაინის პორტები მარცვლეულით დატვირთულმა კიდევ 8 გემმა დატოვა



უკრაინის პორტები მარცვლეულით დატვირთულმა კიდევ რვა გემმა დატოვა. ინფორმაციას თურქეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

– 18 სექტემბერს უკრაინის პორტებიდან 169.3 ათასი ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით დატვირთული 10 გემის აფრიკის, აზიისა და ევროპის ქვეყნების მიმართულებით გასვლა იგეგმებოდა. ნავსადგურები 8 გემმა დატოვა, კიდევ 2 ელოდება თავის რიგს და ხელსაყრელ პირობებს, – აცხადებენ უწყებაში.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინას, თურქეთს, რუსეთსა და გაეროს შორის მარცვლეულის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ამოქმედებიდან დღემდე უკრაინის პორტები, ჯამში, 3.7 მილიონი ტონა აგროპროდუქტით დატვირთულმა 165-მა გემმა დატოვა.

# ყირგიზეთ-ტაჯიკეთის საზღვარზე დაღუპული ყირგიზების რიცხვი 36-მდე გაიზარდა



ტაჯიკეთის საზღვარზე შეტაკების შედეგად დაღუპული ყირგიზი მოქალაქეების რიცხვი 36-მდე გაიზარდა. ინფორმაციას მედიასაშუალებები ყირგიზეთის ჯანდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებენ.

– ბატკენის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა საერთო რაოდენობა 36-ს შეადგენს, – აცხადებენ სამინისტროში. უწყების ცნობით, დაშავებულია კიდევ 129 ადამიანი.

შეგახსენებთ, ტაჯიკეთი-ყირგიზეთის საზღვარზე მდგომარეობა 14 სექტემბერს დაიძაბა. მხარეები ცეცხლის გახსნაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

# ვოლოდიმირ ზელენსკი: „უკრაინამ ყირიმი, შესაძლოა, დიპლომატიური გზით დაიბრუნოს“



უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ უკრაინამ რუსეთის მიერ ოკუპირებული ყირიმი დიპლომატიური გზით დაიბრუნოს.

– სხვა გამოსავალი არ არის. აუცილებელია ტერიტორიის დეოკუპაცია. ასევე შესაძლოა მოხდეს, რომ ყირიმი დიპლომატიური გზით დავიბრუნოთ. რა თქმა უნდა, უკრაინაში უფრო მეტად ამ საკითხის მოგვარების დიპლომატიურ გზას უჭერენ მხარს, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

ამასთან, მან ყირიმის დეოკუპაციასთან დაკავშირებით დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა.

– ადამიანთა რომელი წრე განიხილავს ამ საკითხს? როდის იქნება ეს? ახლა ვერ ვიტყვი, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

# უკრაინელებმა სვატოვოში რუსების სამხედრო ბაზა გაანადგურეს



უკრაინელმა სამხედროებმა ლუგანსკის ოლქში, ქალაქ სვატოვოს ავტოსადგურზე, სადაც ოკუპანტების ბაზა იყო განთავსებული, დარტყმა განახორციელეს. ამის შესახებ ლუგანსკის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი გაიდაი „ტელეგრამში“ წერს.

„სვატოვო – ჩვენს მიწაზე ორკებს მოსვენება არსად ექნებათ“, – აცხადებს გუბერნატორი. ცნობისათვის, უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, ბოლო 24 საათის განმავლობაში უკრაინულმა ავიაციამ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაციის 13 ადგილს დაარტყა. გარდა ამისა, საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა რუსების კუთვნილი ხუთი უპილოტო საფრენი აპარატი და ერთი „კა-52“ ტიპის ვერტმფრენი ჩამოაგდეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებსა და ხერხემალში მარილების დაგროვება, რევმატიული სახსრების ანთება, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას ნადგურდება სოკო. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში წელზე, მუხლებზე, სახსრებზე. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები, შეშუპება. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლის კანის გარქოვანება, ქუსლებზე ნახეთქები, ბუასილის კვანძების, ნაწოლების, ინსულტის შემდგომი სისუსტე. **გამოყენების წესი:** მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში. მცირდება ტკივილები, შეშუპება მუხლის ტროპიკული წყლულის არსებობის, ვარიკოზული ვენების გაფართოების დროს. პრეპარატის გავლენით წყლულები იწმინდება და ჩქარდება მათი შეხორცება. თანდათან ქრება თრომბები.

## სპრეი მენტორი 7

გამოიყენება მავნე რესპირატორული ვირუსების, გრიპის დასამარცხებლად, გაცივებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად, ნახველის გასათხელებლად.

სპრეის გამოყენების შედეგად ნადგურდება მავნე ბაქტერიები, უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება/წყდება გამონადენი ცხვირიდან, უმჯობესდება ჯანმრთელობა.

შექმნილია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

**მიღების წესი:** კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან და შევისხუროთ სპრეი ორივე ნესტოში, ასევე ყელში.

☎ 599-73-48-21.

# ლუკა ლოჩოშვილი: „სერია ა-ში მოდუნების უფლება არ გაქვს, სკამზე კონკურენტია ჩასაფრებული“



საქართველოს ნაკრებისა და კრემონეზეს მცველმა, ლუკა ლოჩოშვილმა, იტალიური ლიგის დონეზე, ახალ გუნდსა და ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა:

**ლუკა ლოჩოშვილი:**

– ძალიან სასიამოვნოა ასეთ დონეზე თამაში. სერია ა ევროპის ტოპ 5 ჩემპიონატში შედის და ყველა საკითხში ძალიან მაღალი დონეა: იქნება ეს საორგანიზაციო დეტალები, სტადიონები თუ ფეხბურთელები. ყველა გუნდში ვარსკვლავები თამაშობენ...

ადაპტაცია კარგად მიმდინარეობს, გუნდში ყველა კარგად დამხვდა და ამან პოზიტიური გავლენა იქონია. ქვეყანაც ძალიან მომწონს, მათი მენტალიტეტიცა და ცხოვრების წესიც...

კონკურენცია დიდია – ჩემს პოზიციაზე მექსიკელი ფეხბურთელია, რომელიც ნაკრების წევრია და კატარში მუნდიალზე ითამაშებს. ერთი შეცდომისა და მოდუნების უფლება არ გაქვს, რადგან შენ უკან ყოველთვის არის ფეხბურთელი, რომელიც მზადაა, შენი ადგილი დაიკავოს...

სოციალურ ქსელებში არ შევდივარ, მაგრამ კლუბშიც და ხალხისგანაც დიდ სიყვარულს ვგრძნობ, მესიჯებს ვიღებ. რამდენიმე დღის წინ ადგილობრივ ტელევიზიაში მიმიწვიეს და მითხრეს, რომ ჩემზე გულშემატკივარს ძალიან კარგი გამოხმაურება აქვს, მათ ძალიან ვუყვარვარ, უკვე მეტსახელებსაც მარქმევენ. ეს ძალიან სასიხარულოა, ასე მოკლე პერიოდში გულშემატკივრებს თავს რომ აყვარებ. იმედია, ასეც გაგრძელდება და ჩემი თამაშითა და საქციელით მათ სიყვარულს კიდევ დავიმსახურებ...

ტრანსფერი გუგა კაჭახიძის, მალხაზ მუსერიძისა და გიორგი ფოფხაძის დამსახურებაა. მათ დიდი როლი ითამაშეს ჩემს კარიერაში. ალალი ხალხია. არადა, საფეხბურთო სამყაროში არიან მენეჯერები, რომლებსაც ფეხბურთელებისგან სარგებლობის ნახვა უნდათ და მხოლოდ ფინანსური საკითხია მნიშვნელოვანი...

ჩემს აგენტებს საჯაროდ მადლობა მინდა გადავუხადო, რომ ეს გზა ერთად გავიარეთ და იტალიამდე მოვედით. მაგრამ ამით არ დავკმაყოფილდები. კიდევ მინდა, რომ განვვითარდე და ისინიც და მეც სხვა ეტაპზე გადავიდეთ...

რა თქმა უნდა, სერია ა-ში გადასვლის შემდეგ ნაკრებში თამაშის ამბიცია გამეზარდა. ზოგადად, ფეხბურთელს ამბიცია თუ არ აქვს, უკვე ძალიან ცუდია, მით უფრო, როცა საქმე შენს ქვეყანასა და ეროვნულ ნაკრებში თამაშს ეხება. ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, ეროვნულ გუნდში ითამაშოს, ქვეყანას გამოადგეს და ასახელოს. რაც ფეხბურთელი ვარ, ამ ამბიციით ვთამაშობ.

როდესაც ნაკრებში გიძახებენ, არა აქვს მნიშვნელობა, სად თამაშობ. ფეხბურთელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ გუნდს დაეხმაროს და მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს. თუ საშუალება მომეცემა, არაფერს დავიშურებ. დანარჩენი მწვრთნელების გადასაწყვეტია. უპირველესად, იმას აღვნიშნავ, რომ საქართველოს ნაკრებს ძალიან დიდი პროგრესი აქვს და ეს ძალიან სასიხარულოა. იმედია, ასეც გავაგრძელებთ და ამ ერთა ლიგას წარმატებით დავასრულებთ.

კვარაცხელია? მისი სახელი იტალიაში უკვე ყველამ იცის. თავიდან მისი გვარის წარმოთქმაზე ჰქონდათ პრობლემა, მაგრამ, თამაშიდან გამომდინარე, ხალხს თავი გააცნო და ახლა მის გვარსაც სწორად გამოთქვამენ. ხვიჩა შესანიშნავი ფეხბურთელი და პიროვნებაა. ფეხბურთელები მეკითხებიან, თუ ვმეგობრობ და თუ მაქვს მასთან ურთიერთობა...

ყველას ძალიან მოსწონს, ყველა ძალიან დადებითადაა განწყობილი და ამბობს, რომ ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელია. ძალიან სასიხარულოა, როცა უცხო ქვეყანაში ხარ და შენს თანამემამულეზე ასეთი გამოხმაურებაა, ასეთი სიყვარულია... მინდა, ხვიჩას წარმატებები ვუსურვო. უპირველეს ყოვლისა, ის ჩემი მეგობარია და ვფიქრობ, რომ მისი სახით საქართველოს ძალიან დიდი ვარსკვლავი ჰყავს.

# რაგბი ევროპა ახალი ფორმატით ჩატარდება

2023 წლიდან რაგბი ევროპის ჩემპიონატი ახალი ფორმატითა და გუნდების გაზრდილი რაოდენობით ჩატარდება.

6-ის ნაცვლად მონაწილეთა რაოდენობა 8 გუნდამდე იზრდება, რომლებიც ორ ოთხგუნდა ჯგუფში არიან განაწილებული. საქართველო ა ჯგუფში ესპანეთის, ნიდერლანდებისა და გერმანიის ნაკრებებთან ითამაშებს, ხოლო ბ ჯგუფში რუმინეთი, პორტუგალია, ბელგია და პოლონეთი მოხვდნენ.

4-18 თებერვალს თითოეული გუნდი ჯგუფური ეტაპის სამ-სამ შეხვედრას გამართავს. საქართველო 4 თებერვალს გერმანიას მასპინძლობს, 11-ში ნიდერლანდებს ეწვევა, ხოლო 18-ში ასევე სტუმრად ესპანეთს შეერკინება.

თითოეული ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო თასის ნახევარფინალში გადის, ხოლო მესამე-მეოთხეადგილოსნები მეხუთე-მერვე ადგილის ნახევარფინალებს ითამაშებენ. ნახევარფინალური შეხვედრები 4-5 მარტსაა ჩანიშნული, ფინალები კი 18-19 მარტს გაიმართება და ყველა ადგილი გათამაშდება. ჯგუფები ორი წლის განმავლობაში შენარჩუნდება. ორი წლის ჯამში ბოლო ადგილზე გასული გუნდი „ალაფაზე“ დაქვეითდება.

**ფილიპ ტუჩელი, რაგბი ევროპის საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელი:**

– ახალი ფორმატი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მიმართ ინტერესს გაზრდის და ჩვენ უფრო სანახაობრივი მატჩების თვითმხილველები გავხდებით. მონაწილეთა რაოდენობის 8 გუნდამდე გაზრდა ხელს შეუწყობს ევროპული რაგბის განვითარებას.

# ევრობასკეტი 2025-ის მასპინძლობაში უკრაინა პოლონეთმა ჩაანაცვლა

მომდევნო საკალათბურთო ევროპის ჩემპიონატი 2025 წელს ისევ ოთხ ქვეყანაში გაიმართება.

სამი თანამასპინძელი აქამდეც ცნობილი იყო – ფიბა-ევროპამ ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპის ჩატარების უფლება კვიპროსს, ფინეთსა და ლატვიას მისცა. ამასთან, ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართება ფინალური ეტაპიც. გასარკვევი იყო მხოლოდ მეოთხე მასპინძელი ქვეყნის საკითხი და ბერლინში გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ მომავალი ევრობასკეტის ერთი ჯგუფი პოლონეთში გაიმართება. პოლონეთის კალათბურთის ფედერაციამ თავისი კანდიდატურა ფიბა-ევროპის საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე წარადგინა, რომელიც გერმანიის დედაქალაქში მიმდინარე ევრო 2022-ის ფინალური და მე-3 ადგილის მატჩის წინა დღეს გაიმართა.

ევრობასკეტი 2025-ის თანამასპინძლობის რეალური კანდიდატი უკრაინა იყო, მაგრამ ამ ქვეყანაში გაჩაღებული ომისა და არასტაბილური მდგომარეობის გამო, ფიბა-ევროპის საბჭომ ალტერნატიული ვარიანტი გამონახა და საბოლოოდ თანამასპინძლის სტატუსი პოლონეთს მისცა.

თუ რომელი ქალაქი უმასპინძლებს ევრობასკეტ 2025-ის ერთ-ერთ ჯგუფს, ფიბა-ევროპის ნოემბრის სესიაზე გამოცხადდება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში 2015 წლიდან იმართება. ევრობასკეტ 2022-ის მასპინძელი, გერმანიასთან, ჩეხეთსა და იტალიასთან ერთად, საქართველოც იყო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### ქალს ლატარიის ბილეთები აერია და ჯეკპოტი მოხსნა



ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა 70 წლის ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, რაც ბილეთები აერია.

ქალი მაღაზიაში ბილეთების საყიდლად შევიდა, მაგრამ შემთხვევით ტირაჟი აერია. მისი თქმით, როდესაც გათამაშების შედეგებს ამოწმებდა, აღმოაჩინა, რომ 50 ათასი დოლარი მოიგო.

– საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა, – აქამდე მაქსიმუმ 500 დოლარი მქონდა მოგებული. ასე რომ, ეს ჩემი ყველაზე მსხვილი მოგებაა, – განაცხადა ქალმა და იქვე დაამატა, რომ მოგებული თანხით იპოთეკის დაფარვას გეგმავს.

### გააფთრებული სპილო მარეკს თავს დაესხა



ინდოეთის კარნატაკის შტატში მდებარე საკრბაილ ელეფანტ კემპის სპილოების პარკში სპილო მოულოდნელად თავს დაესხა მარეკს. აღნიშნული შემთხვევა სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.

პარკის ზედამხედველს, სახელად იგრანს, სპილო, სახელად მანიკანტა, ტყეში მიჰყავდა. როდესაც ისინი გზაზე გადადიოდნენ, სპილო მოულოდნელად შეჩერდა და თავს დაესხა მეორე მარეკს, სახელად ხალილს, რომელიც მათ სკუტერით უკან მიჰყვებოდა.

მამაკაცმა სკუტერიდან გადმოხტომა და გაქცევა მოასწრო. მანიკანტა მას მანამდე მისდევდა, სანამ ხალილი თვალს არ მიეფარა.

ამავე დროს, ქალი, რომლის სახელიც უცნობია და რომელიც გზის პირას გაჩერებული მანქანიდან გადმოდიოდა, გააფთრებულმა სპილომ კინაღამ გადათელა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანიკანტას ადრეც გამოუვლენია აგრესია და ორჯერ დაესხა თავს მარეკებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შედეგები

## 17 სექტემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-სიტი ..........0:3
ნიუკასლი-ბორნმუთი ..........1:1
ტოტენჰემი-ლესტერი ..........6:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-7 | 18 |
| 2.სიტი | 7 | 5 | 2 | 0 | 23-6 | 17 |
| 3.ტოტენჰემი | 7 | 5 | 2 | 0 | 18-7 | 17 |
| 4.ბრაიტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| 5.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-8 | 12 |
| 6.ფულემი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-11 | 11 |
| 7.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 8.ლივერპული | 6 | 2 | 3 | 1 | 15-6 | 9 |
| 9.ბრენტფორდი | 7 | 2 | 3 | 2 | 15-12 | 9 |
| 10.ნიუკაასლი | 7 | 1 | 5 | 1 | 8-7 | 8 |
| 11.ლიდსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 12.ბორნმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-19 | 8 |
| 13.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 14.ასტონ ვილა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 15.კრ.პალასი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 16.ვულვზი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-7 | 6 |
| 17.ევერტონი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-6 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 4 |
| 19.ნოტინგემი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-17 | 4 |
| 20.ლესტერი | 7 | 0 | 1 | 6 | 10-22 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სუონსი-ჰალი ..........3:0
ბარნლი-ბრისტოლი ..........2:1
ბირმინგემი-ქოვენთრი ..........0:0
ქპრ-სტოკი ..........0:0
ლუთონი-ბლექბერნი ..........2:0
მილუოლი-ბლექპული ..........2:1
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი ..........1:1
პრესტონი-შეფილდი ..........0:2
უიგანი-რედინგი ..........0:1
უოტფორდი-სანდერლენდი ..........2:2
ჰადერსფილდი-კარდიფი ..........1:0
მიდლსბრო-როტერჰემი ..........0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ბაიერნი ..........1:0
ლევერკუზენი-ვერდერი ..........1:1
დორტმუნდი-შალკე ..........1:0
შტუტგარტი-აინტრახტი ..........1:3
გლადბახი-ლაიფციგი ..........3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 7 | 5 | 0 | 2 | 9-7 | 15 |
| 2.უნიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 13-4 | 14 |
| 3.ფრაიბურგი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 4.ბაიერნი | 7 | 3 | 3 | 1 | 19-6 | 12 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 6.გლადბახი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-5 | 12 |
| 7.აინტრახტი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-13 | 11 |
| 8.მაინცი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-10 | 11 |
| 9.კიოლნი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-7 | 9 |
| 10.ვერდერი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-12 | 9 |
| 11.აუგსბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-10 | 9 |
| 12.ლაიფციგი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| 13.ჰერტა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-9 | 6 |
| 14.შალკე | 7 | 1 | 3 | 3 | 8-14 | 6 |
| 15.ლევერკუზენი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 5 |
| 16.შტუტგარტი | 7 | 0 | 5 | 2 | 7-10 | 5 |
| 17.ვოლფსბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 18.ბოხუმი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-18 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-კილი ..........4:2
ჰანზა-მაგდებურგი ..........3:1
დარმშტადი-ნიურნბერგი ..........2:0
ჰამბურგი-ფორტუნა ..........2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ალმერია ..........1:0
ბარსელონა-ელჩე ..........3:0
ვალენსია-სელტა ..........3:0
ბილბაო-რაიო ..........3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 18-1 | 16 |
| 2.რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-5 | 15 |
| 3.ბილბაო | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 4.ბეტისი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-3 | 12 |
| 5.ოსასუნა | 6 | 4 | 0 | 2 | 7-5 | 12 |
| 6.ვილიარეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-1 | 10 |
| 7.ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 8.ვალენსია | 6 | 3 | 0 | 3 | 10-5 | 9 |
| 9.მალიორკა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 10.ხირონა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 11.სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-13 | 7 |
| 12.ხეტაფე | 6 | 2 | 1 | 3 | 6-12 | 7 |
| 13.რაიო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 14.სოსიედადი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 15.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 4 |
| 16.სევილია | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 17.ალმერია | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 4 |
| 18.ესპანიოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 19.კადისი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-14 | 3 |
| 20.ელჩე | 6 | 0 | 1 | 5 | 2-16 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი-ლუგო ..........3:1
ოვიედო-იბიცა ..........0:1
ანდორა-ეიბარი ..........2:0
გრანადა-მირანდესი ..........2:1
სარაგოსა-ხიხონი ..........1:0

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ემპოლი ..........0:1
სპეცია-სამპდორია ..........2:1
ტორინო-სასუოლო ..........0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უდინეზე | 7 | 5 | 1 | 1 | 15-7 | 16 |
| 2.ატალანტა | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 3.მილანი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| 4.ნაპოლი | 6 | 4 | 2 | 0 | 13-4 | 14 |
| 5.რომა | 6 | 4 | 1 | 1 | 8-6 | 13 |
| 6.ინტერი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-11 | 12 |
| 7.ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 8.იუვენტუსი | 6 | 2 | 4 | 0 | 9-4 | 10 |
| 9.ტორინო | 7 | 3 | 1 | 3 | 6-7 | 10 |
| 10.სასუოლო | 7 | 2 | 3 | 2 | 5-8 | 9 |
| 11.სპეცია | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 12.სალერნიტანა | 7 | 1 | 4 | 2 | 10-8 | 7 |
| 13.ემპოლი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-7 | 7 |
| 14.ბოლონია | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 15.ლეჩე | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| 16.ფიორენტინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| 17.ვერონა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-11 | 5 |
| 18.კრემონეზე | 6 | 0 | 2 | 4 | 5-10 | 2 |
| 19.სამპდორია | 7 | 0 | 2 | 5 | 4-13 | 2 |
| 20.მონცა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-პარმა ..........1:3
ვენეცია-პიზა ..........1:1
ზიუდტიროლი-კოზენცა ..........1:1
კალიარი-ბარი ..........0:1
კომო-სპალი ..........3:3
რეჯინა-ჩიტადელა ..........3:0
ფროზინონე-პალერმო ..........1:0
ჯენოა-მოდენა ..........1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მონპელიე-სტრასბური ..........2:1
ლილი-ტულუზა ..........2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 7 | 6 | 1 | 0 | 25-4 | 19 |
| 2.მარსელი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-4 | 19 |
| 3.ლორიანი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-12 | 19 |
| 4.ლანსი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-7 | 17 |
| 5.მონაკო | 8 | 4 | 2 | 2 | 13-12 | 14 |
| 6.ლიონი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-9 | 13 |
| 7.ლილი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-16 | 13 |
| 8.მონპელიე | 8 | 4 | 0 | 4 | 19-15 | 12 |
| 9.რენი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-7 | 11 |
| 10.კლერმონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 11.ნიცა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 12.ტულუზა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 13.ტრუა | 7 | 2 | 1 | 4 | 11-15 | 7 |
| 14.ოსერი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-19 | 7 |
| 15.ნანტი | 7 | 1 | 3 | 3 | 8-11 | 6 |
| 16.რეიმსი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-17 | 6 |
| 17.სტრასბური | 8 | 0 | 5 | 3 | 6-9 | 5 |
| 18.ბრესტი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-17 | 5 |
| 19.ანჟე | 7 | 1 | 2 | 4 | 8-18 | 5 |
| 20.აიაჩო | 7 | 0 | 1 | 6 | 3-11 | 1 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ბორდო-დიჟონი ..........2:1

**ბორდოს მე-2 გოლი ზურიკო დავითაშვილმა გაიტანა**

გენგამი-სტ.ეტიენი ..........2:1
ამიენი-ნიორი ..........3:0
ლე ავრი-ნანსი ..........2:0
გრენობლი-კაენი ..........1:0
კევიი-ლავალი ..........1:3
პო-ვალანსიენი ..........1:0
ბასტია-მეცი ..........1:0
სოშო-ნიმი ..........3:1
პარიზი-როდეზი ..........1:2

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სპარტა-გრონინგენი ..........2:1
ვიტესი-ვოლენდამი ..........1:1
ვალვაიკი-კამბური ..........5:1
სიტარდი-ექსელსიორი ..........1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ჟილ-ვისენტე-რიუ ავე ..........2:2
სანტა კლარა-ფერეირა ..........1:1
ეშტორილი-პორტუ ..........1:1
ბოავიშტა-სპორტინგი ..........2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-ლეუვენი ..........0:0
ვარეგემი-სტ.ტრუიდენი ..........0:3
სერკლი-ოსტენდე ..........2:2
შარლერუა-ვესტრლო ..........2:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ჰარტბერგი ..........3:1
ლინცერი-ტიროლი ..........1:4
ალტახი-კლაგენფურტი ..........1:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-კილმანროკი ..........1:0
რეინჯერსი-დ.იუნაიტედი ..........2:1
სტ.ჯონსონი-როსი ..........0:0
ჰიბერნიანი-აბერდინი ..........3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

უმრანიე-ქაშიმფაშა ..........1:2
ანთალია-ადანა ..........0:3
ისთამბული-ბეშიქთაში ..........2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ლამია ..........0:0
პანეთოლიკოსი-აეკი ..........0:2
პანათინაიკოსი-იანინა ..........3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-სიგმა ..........0:3
ბრნო-ტეპლიცე ..........2:2
სლოვანი-მლადა ..........1:3
სპარტა-ბანიკი ..........1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სტალი-ვიძევი ..........0:3
ლეხია-იაგელონია ..........2:2
ჩენსტოხოვა-რადომიაკი ..........3:0
კრაკოვია-პოგონი ..........1:1

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ოლბორგი ..........3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-კალმარი 2:2
ჰაკენი-ჰამარბი ..........1:1
ვერნამო-ვარბერგი ..........1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ოდი-ჰამკამი ..........2:0

## თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ანგარიშზე სამი ბრინჯაოს მედალია



სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში და საქართველოს დელეგაციას ანგარიშზე სამი ბრინჯაოს მედალია.

პირველი მედალი ზურაბ იაკობიშვილის (70 კგ) ანგარიშზეა. ქართველმა მოჭიდავემ მონღოლი ტემულენ ენხტუია (2:1) და თურქი სერვეთ ჩოსკუნი (2:0) დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში ამერიკელ ზაინ ალენ რეთერფორდთან 0:7 წააგო და მესამე ადგილისთვის გადაერთო.

ბრინჯაოს მედლისთვის ჩვენებურმა სომეხი არმან ანდრეასიანი ძალზე დაძაბულ ბრძოლაში (5:5) დაამარცხა. იაკობაშვილს გამარჯვება იმიტომ მიაკუთვნეს, რომ უფრო მაღალი ხარისხის, 4-ქულიანი ილეთი ჰქონდა გაკეთებული.

იაკობაშვილისთვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე ეს მე-4 მედალია (1 ოქრო, 3 ბრინჯაო).

125 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონმა გენო პეტრიაშვილმა ნახევარფინალამდე ინდოელი დინეშ დინეში (4:0) და ამერიკელი ჰაიდენ ნიკოლას ზილმერი (9:4) დაამარცხა. ქართველმა მოჭიდავემ ფინალში გასასვლელი ბრძოლა მონღოლ ლხგვაგერელ მუნხტურთან 2:4 წააგო და ოქროს მედლისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა,

ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ყაზახი ოლეგ ბოლტინი 11:4 დაამარცხა. მეორე პერიოდის დასაწყისში ყაზახი 4:2 დაწინაურდა, მაგრამ პეტრიაშვილმა უპირატესობა მალევე დაიბრუნა და გამარჯვება არ გასჭირვებია.

გენო პეტრიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარიერაში მე-7 მედალი მოიპოვა (3 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო).

მესამე ბრინჯაოს მედალი მირიან მაისურაძემ (92 კგ) დაისაკუთრა.

ქართველმა მოჭიდავემ იაპონელი სოშუკე ტაკატანისა (2:1) და ყაზახი ადილეტ დავლუმბაევის (12:2) ძლევით დაიწყო, მაგრამ ნახევარფინალში ირანელ კამრან გორბან გასემპურთან (0:5) დამარცხდა და ბრინჯაოს შანსი შერჩა. მედლისთვის ბრძოლაში კი ბულგარეთის სახელით მოჭიდავე ახმედ ბატაევი 12:10 დაამარცხა და კვარცხლბეკზე შედგა.

მაისურაძემ წელს ევროპის ჩემპიონატზეც მესამე ადგილი დაიკავა.

## საქართველოს ჩემპიონმა ევროპის სუპერთასი ორი მარცხით დაიწყო



საქართველოს ჩემპიონი, ბათუმი, რაგბი ევროპის სუპერთასის მე-2 ტურში ბუქარესტში რუმინულ ვულვზს 35 წუთის განმავლობაში ჯაბნიდა და 12-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ მე-2 ტაიმში მეტოქის ფეხით თამაშსა და საკუთარ შეცდომებს ვერაფერი მოუხერხა – 15:37.

ზღვისპირელებმა პირველი ტაიმის უდიდესი ნაწილი კარგად ჩაატარეს. ისინი ხისტად თამაშობდნენ დაცვაში, ძლიერები იყვნენ კონტაქტის არეში, აკონტროლებდნენ ბურთს და რამდენჯერმე სახიფათოდ გაჭრეს ხაზი, მაგრამ ხშირი იყო ტექნიკური წუნი და ყველა ეპიზოდის ქულებში ასახვა ვერ მოხერხდა. მასპინძლები უკეთ თამაშობდნენ ფეხით და ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. გარდა ამისა, მეორე ტაიმში იმატა ტექნიკურმა წუნმა, დერეფანში უზუსტობამ და საბოლოოდ ვულვზმა სასურველი შედეგის დაფიქსირება მოახერხა. ანგარიში მასპინძლებმა ჯარიმით დებიუტშივე გახსნეს, რის შემდეგაც ინიციატივას ბათუმი დაეუფლა და რამდენიმე ხიფათიც შექმნა. რომ არა ტექნიკური წუნი, ხელდახელ სწრაფ შეტევებს ლელო აუცილებლად მოჰყვებოდა. თუმცა, რაც არ გამოვიდა ხელდახელ, გამოვიდა მოლით, რომელიც მე-19 წუთზე მასპინძლებმა წესების დარღვევით ჩააქციეს და საჯარიმო ლელოსთან ერთად სინბინითაც დაისაჯნენ. 24-ე წუთზე ბათუმელებმა შეძლეს ფაზების გადაბმა, შეტევის მიმართულება რამდენჯერმე დაბრუნდა მოკლე ფრთაზე, გიორგი ფრუიძემ სამჯერ შეძლო ბურთის წაღება, ბოლოს კი რაქიდან კოკი თხილაიშვილმა შეუტია და ლელო გაიტანა. მამუკა ნინიძეს რთული პოზიციიდან გარდასახვა გაუცუდდა, თუმცა 30-ე წუთზე ჯარიმა გაიტანა – 15:3.

საფრთხე თითქოს არსაიდან ჩანდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს ცენტრში ხაზი გაიჭრა, ზედიზედ სამი ბოჭვა გაფუჭდა და ვულვზმა საპასუხო ლელო გაიტანა, გარდასახვის შემდეგ კი სხვაობა 5 ქულამდე დავიდა. შესვენების შემდეგ ბათუმს თამაშის დალაგება გაუჭირდა, შეცდომები მოუმრავლდათ, რითაც რუმინელებმა ისარგებლეს და 48-ე წუთზე გატანილი ლელო-გარდასახვით დაწინაურდნენ. 55-ე წუთზე შეცდომას უკვე ჯარიმა მოჰყვა და მასპინძლებმა რთული პოზიციიდან კიდევ 3 ქულა აიღეს.

მცდელობების მიუხედავად, სტუმრებმა ველარ შეძლეს გარდატეხის შეტანა. ვულვზმა 65-ე წუთზე უპირატესობა ჯარიმით კიდევ უფრო გაზარდა, დასკვნით ხუთ წუთში კი კიდევ ორი ლელო შექმნა და 37:15 იმარჯვა.

ამ ჯგუფში აია არენაზე შავი ლომი თელ-ავივის ჰიტს დაუხვდება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## სამგლოვიარო განცხადებები

**გივი როსტიაშვილის ხსოვნას!**

ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ უსაყვარლეს ნაზი ელიზბარაშვილსა და ოჯახს გულისხმიერი, კეთილშობილი, ჰუმანური, საყვარელი გამზრდელი პაპის, ბატონი გივის გარდაცვალების გამო!

ნათელში ამყოფოს უფალმა!

*ახლობელი კუსუნა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 2. ისტორიული ქართული სამეფო დასავლეთ საქართველოში; 3. მსუბუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 4. მაღალხარისხოვანი გამჭვირვალე ფაიფური; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 7. თვითმფრინავის, გემის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 11. ნისლი, ბურუსი; 12. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 13. გერმანელი მწერალი, რომან „სამი მეგობრის“ ავტორი; 14. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 15. არგენტინის ნაკრებისა და „რომას“ ფეხბურთელი; 17. დიდი სპორტული შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 19. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფე ქორწილში.

**თარაზულად:** 5. ნორვეგიის, დანიის, შვედეთის მეფეთა ტიტული; 6. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. ინდოელ ქალთა სამოსი; 9. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული თავსამკაული; 13. გერმანული თეთრი ფერის მშრალი სამარკო ღვინო; 14. ამერიკელთა მეტსახელი; 16. ხელოვნების მუზეუმი მადრიდში; 18. ჯიუტი, ურჩი ცხენი; 20. ფრანგი მოდელიერი; 21. რძის შაქარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბუკლეტი; 2. ტალავარი; 3. ნობათი; 4. გოქჩა; 5. ნიკოლაძე; 8. კარაკასი; 12. არქი; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. კაბერნე; 18. ბრერა; 20. დუმა.

**თარაზულად:** 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კახასა; 9. ფეოლა; 10. პარალიზი; 11. ბუზალაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 17. ფიზიკა; 19. ბალდაველაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. კავსაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. იზაბელა; 3. სპარინგი; 4. ოსვენციმი; 5. ღალია; 6. აუდიტი; 8. გურონი; 11. კელნერი; 14. მეტრანპაჟი; 15. სათაფლია; 16. ბიჟუტერია; 17. ჩითილი; 19. ხავერდი; 21. სამბო; 22. ზვარე.

**თარაზულად:** 1. ბიოსფერო; 5. ღალა; 7. ჟიგული; 9. ბარათაშვილი; 10. დეკორტი; 12. სტალინო; 13. ტრიუმფი; 16. ბარიბალი; 17. ჩირი; 18. ცხუმი; 20. გრავიურა; 22. ზალპი; 23. სევილია; 24. რულადა; 25. ბარჟა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8261

ევრო — 2.8204

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2218

100 რუსული რუბლი — 4.6962

## ამინდის პროგნოზი 19 სექტემბრისთვის




## დეპაი: „მიხარია, რომ ბარსელონას გამარჯვებაში დავეხმარე“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ელჩე დაამარცხა 3:0 და შეხვედრაში მეორე გოლი მემფის დეპაიმ გაიტანა, რომელმაც მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის ბარსელონაში ბედნიერია და შეეცდება, გუნდისთვის მაქსიმუმი გააკეთოს. დეპაის თქმით, გოლი მას თავდაჯერებულობას მოუმატებს: „მინდა, რომ ბარსელონისთვის მოედანზე ყველაფერი გავაკეთო და, იმედი მაქვს, ამის შანსი მომეცემა. მწვრთნელმა დაინახა, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია და ვიცი, რომ ის სამართლიანად მომექცევა“.

## ტომას მიულერი: „უბრალოდ, არ გვიმართლებს“



მიუნხენის ბაიერნმა გერმანიის ჩემპიონატში ზედიზედ 4 შეხვედრა ვერ მოიგო და ეს მიუნხენელებისთვის წარმოუდგენლად ცუდი შედეგია. ბოლო შეხვედრა მათ აუგსბურგთან დათმეს 0:1, მაგრამ ტომას მიულერი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი გამარჯვებებს დაიწყებს: „ვთვლი, რომ უბრალოდ არ გვიმართლებს და ჩვენ მომენტებს ვერ ვიყენებთ, რითიც მეტოქეები სარგებლობენ. ეს მუდმივად არ გაგრძელდება“.

## კვარაცხელიაზე ვილი სანიოლმაც ისაუბრა



საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა და თქვა, რომ ხვიჩას აქვს პოტენციალი, კიდევ უფრო უკეთესი ფეხბურთელი გახდეს: „კვარაცხელიას თამაშს როდესაც ვუყურებ, ვხედავ, რომ ის ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელია, მაგრამ, ასევე ვხედავ, რომ ხვიჩას აქვს პოტენციალი, კიდევ უკეთესი გახდეს და ჩვენ მას ამაში უნდა დავეხმაროთ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ალექსანდრე ზაზარაშვილმა ელექტრონული წიგნი გამოუშვა



უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებულმა ქართველმა მომღერალმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა ელექტრონული წიგნი გამოუშვა:

— გამოვუშვი ელექტრონული წიგნი, რომელზეც ვმუშაობ უკვე რა ხანია. ძალიან მადლობელი ვარ ყველა ადამიანის, ვინც კი დამხმარებია, შეუქმნია ჩემთვის მოგონებები და საშუალება, რომ მეჩვენებინა ჩემი შემოქმედება მსოფლიოსათვის!

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 16 წლის ვარ, ჩემი კარიერიდან გამომდინარე, ბევრი რამ მაქვს ნანახი, დიდი გამოცდილება უკვე მიღებული მაქვს და, რაც დრო გადის, მით უფრო მივიწყებას მიეცემა ხოლმე დეტალები და რთულდება ყველაფრის დამახსოვრება, ამიტომ გადავწყვიტე, გამომექვეყნებინა პირველი ნაწილი ჩემი ელექტრონული წიგნისა „მეოცნებე ბიჭი“, რომელიც ასევე არის სახელმძღვანელო დამწყებებისათვის მუსიკის სფეროში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 19 სექტემბრისთვის

**ვერძი** — დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **კურო** — ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **ტყუპები** — ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კირჩხიბი** — საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ლომი** — მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** — კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** — პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ღრიანკალი** — ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** — ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **თხის რქა** — დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **მერწყული** — პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **თევზები** — ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ბიჭი გოგოს ტელეფონზე ურეკავს და ეუბნება:

— მოდი, შევხვდეთ ერთმანეთს, ყავა დავლიოთ.

— ყავა, როგორც ყოველთვის, ლოგინში?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— მე მეორე თანრიგის ვეგეტარიანელი ვარ.

— ეგ როგორ?

— როგორ და ძროხა ჭამს ბალახს, მე კი ძროხას...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, დიეტას ვიწყებ, ამიტომ მხოლოდ კიბორჩხალა, მოლუსკები, რვაფეხები და ტრუფელები უნდა ვჭამო!

— ასე რატომ დაწვრილმანდი, ბარემ პირდაპირ ფულის ჭამა დაგეწყო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

— ბიჭო, გუშინ მაგარი ზანგის გოგო შევაბი! პრიალა კანი, ჩამოსხმული ფეხები, სასწაული ფიგურა, სახე — ულამაზესი!

— მერე?

— სახლში მივიყვანე, შამპანური დავლიეთ, ვიცეკვეთ, შემდეგ ნელ-ნელა გავაშიშვლე...

— მერე, მერე?

— მერე შუქი ჩავაქრე და ველარ ვიპოვე...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— ამ დილით ჩემ ქმარს ვკითხე, თუ რატომ აღარ მეუბნება, რომ ვუყვარვარ.

— მერე, რა გიპასუხა?

— რა და, თავად ის ფაქტი, რომ მისი მანქანის დამტვრევის შემდეგ დღემდე ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ, მისი დიდი სიყვარულის დასტურია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ვოისი საქართველო“ ბრუნდება



„ვოისი საქართველო“ პირველ არხზე ბრუნდება. წლევანდელ მუსიკალურ შოუში მონაწილეებს 20 სექტემბრის ჩათვლით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შესარჩევ კონკურსში.

„ვოისი საქართველო 2022“-ის გამარჯვებული ევროპაში ყველაზე დიდი მუსიკალური კონკურსის, ევროვიზია 2023-ის საგზურს მოიპოვებს.

ახალი სატელევიზიო სეზონიდან ყველაზე რეიტინგული მუსიკალური შოუ ათასობით მაყურებელს უნიჭიერეს ახალ სახეებს გააცნობს.

## ნინი ნუცუბიძე არტისტების ჰონორარების გასაჯაროების წინააღმდეგია



მომღერალი ნინი ნუცუბიძე არტისტების ჰონორარების გასაჯაროებას აპროტესტებს:

— არტისტის ჰონორარის ოდენობის ასე სახალხოდ გამოდება არის, უბრალოდ, სამარცხვინო, აღუზრდელი და კულტურას მოკლებული პირები რომ ახდენენ მოქალაქეთა ინფორმირებას, ეს უფრო საგანგაშოა, ვიდრე კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად დახარჯული ლარების თვლა, რომელსაც „ამა თუ იმ მომღერლისა თუ ჯგუფის ჩამოყვანას“ ეძახით.

პ.ს. ნინი ქუთაისის მერიის ორგანიზებით ჩატარებულ „როკ ფესტივალში“ მონაწილე არტისტების ჰონორარების გასაჯაროებამ გააღიზიანა.

## ზუგდიდის თეატრს ახალი დირექტორი ჰყავს



ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს ახალი დირექტორი ჰყავს.

ბეჟან წურწუმია პროფესიით ეკონომისტია საბანკო სისტემაში 14-წლიანი გამოცდილებით, მათ შორის 6 წელი ფილიალის მმართველად და 4 წელი რეგიონის საოპერაციო დირექტორად იმუშავა.

ზუგდიდის თეატრის დასი ახალ დირექტორთან ერთად მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას აპირებს.

## თავისუფალი თეატრი მსოფლიო თეატრალურ ოლიმპიადაზე მიიწვიეს




თავისუფალი თეატრი 2023 წლის ივნისში მსოფლიო თეატრალურ ოლიმპიადაზე, „კომედი ფრანსეზის“, „პიკოლო თეატრის“, რეჟისორების: ბობ ვილსონის, კრისტიან ლუპას, რომეო კასტელუჩის, ქსიშტოფ ვარლიკოვსკის, ტადაში სუძუკის, თერზოპულოსისა და სხვა გამოჩენილი რეჟისორების სპექტაკლების გვერდით, ოლიმპიადის მთავარ პროგრამაში, ოლიმპიადის ორგკომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოსა და ქართულ თეატრს წარმოადგენს „თავისუფალი თეატრი“ ორი სპექტაკლით: „რიჩარდ მესამე“ და „ოტელო“. ოლიმპიადის პროგრამა უკვე შედგენილია, თუმცა, მცირედი კორექტივების შემდეგ, სექტემბრის ბოლოს ოფიციალურად გამოქვეყნდება.

ოლიმპიადაზე თეატრთან ერთად მიწვეულია საქართველოს კულტურის მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი.

გულშემატკივრებისათვის გაკეთდება სპეციალური ტურისტული ჯგუფი. ისინი თავისუფალი თეატრის დასთან ერთად ბუდაპეშტში გაემგზავრებიან.

რაც შეეხება „თავისუფალი თეატრის“ 22-ე სეზონს, მომავალი სეზონის სავარაუდო პრემიერებია: მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, გუსტავ ფლობერის „ქალბატონი ბოვარი“, ჟან ანუის „ევრიდიკე“, შალვა დადიანის „გუშინდელნი“, ედვარდ ოლბის „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“, ირაკლი სოლომონიშვილის „სოფელი“.

## სერიალი „სიყვარულს მიღმა“ პირველ არხზე გავა




19 სექტემბრიდან პირველი არხის ეთერში ქართული სერიალი „სიყვარულს მიღმა“ დაიწყება.

ეს ახალი ქართული დრამაა ორი ოჯახის საბედისწერო ისტორიის შესახებ. ტყუილი, ღალატი, შეცდომები, რომლებიც ხშირად, დიდი სიყვარულის მიუხედავად, უპატიებელია. საკუთარი თავის ძიება, საბედისწერო დილემები, სიმართლის თქმა — ეს ის გამოწვევებია, რომლებიც სერიალის გმირებს მუდმივად აქვთ.

ურთიერთობები, რომლებიც იდეალურობის ფასადის მიღმა ინგრევა. ისტორია ორი ოჯახისა და მათ გარშემო არსებული ხალხის შესახებ ვითარდება.

სერიალში თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ. მათ შორის, ანკა ვასაძე, ლევან ხურცია, ჯაბა ჯანაშია...

## „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ტაშკენტში დაიდგა



ტაშკენტში, უზბეკეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ნოდარ დუმბაძის რომან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით უზბეკი რეჟისორის მუხტარ რეიმოვის მიერ დადგმული სპექტაკლის, „განძის“ ჩვენება გაიმართა.

უზბეკმა მაყურებელმა ფეხზე წამომდგარმა მქუხარე ოვაციებითა და აპლოდისმენტებით გამოხატა თავისი ემოცია.

კაშკადარიის სამხარეო მუსიკალურ-დრამატული თეატრის დასი სპექტაკლით „ჰელადოსი“, ნოდარ დუმბაძის მიხედვით, მონაწილეობას მიიღებს ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, რომლის იდეის ავტორი, დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძეა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 5. დენის ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ხელსაწყო; 6. „ფორმულა-1“-ში მონაწილე კანადელი ავტომრბოლელი; 8. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. ქალაქი-მუზეუმი ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე იტალიაში; 14. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 15. მდინარე ახალციხეში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო ძველად; 4 ქართული სანადიმო სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. ამერიკელი ავტოკონსტრუქტორი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. აქტიური დაცვის მეთოდი სპორტულ თამაშებში; 16. ბალჩეული ხილი; 17. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 21. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

